პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგმოეგის ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი № 120 (12328) | ხუთშაბათი, 24 მაისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

მოსწავლეს ღრმა ცოდნა!

ეს მხოლოდ ასეა. საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას სხვა დანიშნულება არ გააჩნია მოსწავლისათვის ღრმა ცოდნის მიცემის გარდა, იმის გარდა, რომ მოსწავლეები მოამზადოს ცხოვრებისათვის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, შემდგომ აამაღლოს მათი ზოგადი და პოლიტექნიკური განათლების დონე, მოამზადოს განათლებული ადამიანები, რომლებმაც კარგად უნდა იცოდნენ მეცნიერებათა საფუძვლები, სკოლამ ახალგაზრდობა უნდა აღზარდოს სოციალისტური საზოგადოების პრინციპებისადმი ღრმა პატივისცემის, კომუნიზმის იდეების სულისკვეთებით.

„საშუალო განათლება, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — უნდა უზრუნველყოფდეს მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნას...“

სწავლა და შრომა, მათი გონივრული შეხამება არამც და არამც არ გამორიცხავს სკოლის უმთავრეს და უპირველეს ამოცანას — მისცეს ბავშვს ცოდნა.

მატერიალურ ფასეულობათა შექმნა, რითაც საქართველოს ბევრ მოწინავე სკოლას შეუძლია ახლა, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ ცნობილი კანონის განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგად დაიტრაბახოს, მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილად ძვირფასი, რომ მას არა მარტო ოდნავაც არ დაუჩრდილავს სწავლების დონე, არამედ აუმაღლებია კიდეც.

სწავლა თავისთავად არის უდიდესი შრომა, რასაც ბავშვი სკოლაში და შინ ეწევა. ხოლო შრომა, რასაც ის სასკოლო ნაკვეთზე თუ სახელოსნოში ხარჯავს, უნდა ემსახურებოდეს უწინარეს ყოვლისა ცოდნის შეძენას და გაღრმავებას. ამ ორი შრომის გონივრული შეერთება მოსწავლის აკადემიურ წარჩინებასთან ერთად მატერიალურ ფასეულობასაც თუ მოგვცემს, ეს იქნება საქებარი და მოსაწონი. კანონი არავითარ შემთხვევაში არ გვიკარნახებს იმას, რომ მოსწავლეთა მატერიალური ფასეულობის შემქმნელი შრომა დავაყენოთ წინა პლანზე და შეგასუსტოთ მათი სწავლების დონე. რესპუბლიკის განათლების მუშაკებს კარგად ახსოვთ მცხეთის რაიონის სოფელ ბუხრანის საშუალო სკოლის მაგალითი, რომელიც თავის დროზე მხჟელობის საგანი გახდა. აქ ბავშვთა შრომითი აღზრდის ფრონტზე მიღწეული წარმატებები, სამწუხაროდ, ცალმხრივი და ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის საზიანო გახდა.

სადაც სწავლა და შრომა გონივრულად არის შეერთებული, სადაც სწავლება პედაგოგური კოლექტივის შეუნელებელი ყურადღებით არის გარემოსილი, იქ შრომის შედეგიც კარგი გვაქვს. ოჩამჩირის რაიონის მთელმა რიგმა მოწინავე სკოლებმა იმის ნათელი მაგალითები გვიჩვენეს, თუ რა შეუძლია კანონის შესაბამისად სწავლის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან შეერთებას.

ოჩამჩირელი პედაგოგები შემოქმედებითად ეძიებენ ახალს სწავლების ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. თბილისს, ქუთაისს, თელავის მოწინავე მასწავლებლებმა, როგორც ეს ამას წინათ გამართულ XV რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე აღინიშნა, შეძლეს თვითონ გამოენახათ გაკვეთილების ხარისხის ამაღლების ეფექტური საშუალებები და ხერხები, დაენერგათ მოწინავე გამოცდილება. მთელ ჩვენს ქვეყანაში სახელი მოიხვეჭა რუსეთის სფსრ ლიპეცკის ოლქის მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილებამ მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავების საქმეში. მათ შემოქმედებითი სიახლე შეიტანეს გაკვეთილის აგებაში, მეცადინეობის ახლებურად წარმართვით მიაღწიეს მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას, მოსწავლეთა აქტივობას და დაინტერესებას გაკვეთილის პროცესში. ლიპეცკელთა დადებითი გამოცდილება შემოქმედებითად ინერგება ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებში.

არსად ისე არ ვლინდება მოსწავლე ახალგაზრდობის ცოდნის დონე, სკოლებში სწავლების ხარისხი, როგორც ეს საკონტროლო წერილას და გამოცდებზე. სამწუხაროდ, უმაღლეს სასწავლებლებში შარშანდელმა მისაღებმა გამოცდებმა გამოავლინა არასახარბიელო მდგომარეობა — მთელ რიგ ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა სუსტი მომზადება. საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მაგალითად, 700 აბიტურიენტიდან 380-მა არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო მისაღებ გამოცდებზე მათემატიკაში (წერა), ხოლო 419-დან 160-მა მათემატიკაში (ზეპირი). სწორედ სწავლების დაბალი დონის შედეგია, რომ მოსწავლეები და აბიტურიენტები მიმართავენ უაზრო ზეპირობას და „შპარგალკებს“. გასულ სასწავლო წელს საშუალო სკოლებში დაბალი დონე გამოვლინდა ქართული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკის, ქიმიის, უცხო ენების სწავლებაში. გორის, ჩხოროწყუს, თერჯოლის ზოგიერთ სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარებული საკონტროლო წერის დროს ალგებრაში და ქართულ ლიტერატურაში მოსწავლეთა უმრავლესობამ არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო. ეს და სხვა მსგავსი ფაქტები მეტად დამაფიქრებელია. რესპუბლიკის განათლების ორგანოებს, პედაგოგთა კოლექტივებს, პედაგოგიურ საზეცნიერო-საკითხავი ინსტიტუტს მართებთ საჭირო დასკვნები გააკეთონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების დღევანდელი დონიდან და გადამჭრელი ზომები მიიღონ. რათა მკვეთრად გაუჯობესდეს მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ მეცნიერების საფუძვლების დაუფლების ხარისხი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ მოქმედი კანონის სრული შესაბამისობით.

სკოლა ცოდნის ტაძარია. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ტაძარში სწავლისა და შრომის გონივრული და სრული შერწყმით აღზრდილ მოზარდ თაობას უდიდესი როლი დაეკისრება საბჭოთა საზოგადოების შემდგომ მატერიალურ და სულიერ განვითარებაში.

პარტიის რაიონულ კომიტეტებს მართებთ შეუნელებლად იზრუნონ სკოლებისათვის, ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ პედაგოგთა კოლექტივებს მათს კეთილშობილურ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში — აღუზარდონ სამშობლოს ყოველმხრივ განათლებული, შრომისათვის მომზადებული თაობა.

გაჩაღებულია „მწვანე ოქროს“ კრეფა მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობაში. წელს ნასაკირალელებმა იკისრეს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 1.850 ტონა ჩაის ფოთოლი—50 ტონით მეტი, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით. 70-80 კილოგრამ ფოთოლს კრეფს ყოველდღიურად ნათელა უჯმაჯურიძე, რომელმაც იკისრა გაბარონებული ნაკვეთზე მიმდინარე სეზონში მიიღოს სულ ცოტა 7 ტონა ნედლეული.

სურათზე: მკრეფავი ნ. უჯმაჯურიძე.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

დამკვრელური ფრთით

ბორი. (საკ. კორ.). გორელმა მეკონსერვეებმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით დაამზადეს 85 ათასი პირობითი ქილა კონსერვი და ამით დაამთავრეს სამეურნეო სეზონი.

პირველი აპრილიდან ქარხანაში დაიწყო ახალი სეზონისათვის მზადება. წარმოებს დანადგარების შეკეთება, იდგმება ქილების დასახუფავი მაღალი წარმადობის მანქანა, სათუნუქე საამქროში ამონტაჟებენ თუნუქის ქილების დასამზადებელ ახალ ავტომატურ ხაზს. ახალ სეზონში წვენების მიწოდება მთლიანად მექანიზებული იქნება. ყველა სახის ძურაბა ვაკუმ-აპარატებში დამზადდება.

ბორჯომი. (საკ. კორ.). მინის ქარხანაში ვადამდე დამთავრდა მინის სახარში № 2 ღუმელის რეკონსტრუქციის სამუშაოები. ამან ღუმელის წარმადობა მნიშვნელოვნად გაზარდა. საწარმოს კოლექტივმა აპრილის გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულა. ბორჯომელი მემინეები შრომის მაღალ ტემპს არც მაისში ანელებენ. ბრიგადები, რომლებსაც დ. ნოზაძე, შ. დავლაშელიძე და ბ. კიკნაძე ხელმძღვანელობენ, ყოველდღიურ საწარმოო გეგმებს 112-115 პროცენტით ასრულებენ.

ქასპი. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად შრომობს თეძამის ტუფის ქვის კარიერის კოლექტივი, რომელმაც ოთხი თვის გეგმის გადამეტებით მშენებლებს მისცა 880-ზე მეტი კუბური მეტრი დახერხილი ტუფი.

ქვის მხერხავი კომბაინის კომბაინერები გ. ჯანანაშვილი, ვ. გოდაძე, გ. ფილიშვილი ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 120-125 პროცენტით ასრულებენ.

რკინიგზისა და ავტომაგზაო ხიდების მაღლების გადასასურავად ასაწყობი უნიფიცირებული ელემენტების წინასწარ დაძაბული მალის ნაშენთა კონსტრუქციების შემუშავებისა და 1961 წლის გამოფენაში მონაწილეობისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საბჭოს კომიტეტმა მესამე ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის ხიდების ლაბორატორია, ხოლო მისი თანამშრომლები—მედლებითა და ფასიანი პრემიებით.

ეს თემა ლაბორატორიამ შეიმუშავა ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საპროექტო და საქართველოს შახტების საპროექტო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით. მისი განხორციელება ათი წლის ექსპერიმენტულ-თეორიული და საპროექტო-საკონსტრუქტორო მუშაობის შედეგია.

დიდი ვერცხლის მედლით დაჯილდოებულია საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხიდებისა და რკინაბეტონის კონსტრუქციათა კათედრის დოცენტი ვ. ი. სლოვინსკი — პროექტის ავტორი.

მცირე ვერცხლის მედლები მიენიჭათ საქართველოს შახტების საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერს კ. მ. სიდოროვსა და ინსტიტუტის წინასწარ დაძაბული ხიდების ლაბორატორიის ინჟინერს რ. ხ. გაბუნოვს — პროექტის თანაავტორებს.

ბრინჯაოს მედალი მიენიჭა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხიდებისა და რკინაბეტონის კონსტრუქციათა კათედრის ასისტენტს გ. დ. გაჩეჩილაძეს სამეშაოთა ორგანიზაციის პროექტის შედგენისათვის.

17 მაისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და სამუშაო სპეციალური განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ე. ჭახრაკიამ დაჯილდოებულთ გადასცა დიპლომები და მედლები ამ უსურვა მათ შემდგომი წარმატებანი მუშაობაში. (საქდესი).

ჯილდო — ძლიერ ნეულმა

ტემპი ძლიერდება

თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგაზაფხულო კულტურები უნდა დათესილიყო 18.761 ჰექტარი, ფაქტიურად უკვე დაითესა 18.915 ჰექტარი. „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა ი. მესტვირიშვილმა განაცხადა:

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სიმინდს. ეს კულტურა დათესეს 14.077 ჰექტარზე და ამით გეგმას 202 ჰექტარით გადააჭარბეს. საგაზაფხულო კულტურების თესვაში თავი ისახელა ახმეტის რაიონმა, რომელმაც 6.898 ჰექტარიდან სიმინდი დათესა 5.189 ჰექტარი.

შეუდგნენ ნათესების თოხნას. ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში უკვე გაითოხნა 2.500 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. მარტო ერთ დღეს — 22 მაისს ნათესებში კულტივაცია ჩატარდა ათას ჰექტარზე.

ზღვიდან ამბები

ერთიანი

ჯილდო — ძლიერ ნეულმა

ოთხი კვადრატები

ზვიდწლედის მეოთხე წელს ნაყოფიერად მუშაობენ გურჯაანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. დათესილია 14.174 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13.271 ჰექტარისა.

— ახლა გულს ახარებს, — აცნობა რუდაქციას გურჯაანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს უფროსმა დ. სარიშვილმა, — საგულდაგულოდ დათესილი სიმინდისა და სხვა საგაზაფხულო კულტურების კარგად აღმოცენებული ნათესები. სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველების ნაყოფიერ შრომას უკვე არ ჩაუვლია.

ნათესები ყველგან კარგად აღმოცენდა. სიმინდის მწვანე კვადრატები გამორჩა. მექანიზატორები შეუდგნენ ნათესების კულტივაციას. სოფელ ნანიანის კოლმეურნეობის მექანიზატორები გ. ალხაზაშვილი და ო. ზირაქაშვილი სიმინდის ნათესში კულტივაციის ყოველდღიურ გეგმას ორმაგად ასრულებენ.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის

დამზადების ნახევარი წლის მეგმის შესრულება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

1962 წლის 20 მაისისათვის

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები	კოლმეურნ. და საბჭ. მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს უფროსი	საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ან საოლქო კომიტეტის პარტორგი	(პროცენტობით) გეგმა პირუტყვი ფრინველი	რძე	ყველი	მატყლი
თელავის	ლ. ა. საჩიშვილი	ი. ა. მესტვირიშვილი	59	53	70	41
გურჯაანის	დ. ე. სარიშვილი	ვ. მაყაშვილი	74	65	83	76
სიღნაღის	მ. დ. ბრეგვაძე	ს. ი. ხოსროშვილი	74	72	78	76
ბოლნისის	ა. მ. მამედოვი	ვ. ი. კაპანაძე	60	53	61	53
მერეძევეობა-მეგოსტნეობის საბ. მეურნ. სპეციალიზებული ტრესტი	დ. გ. შარაშიძე	ა. მ. დავითაშვილი	84	54	89	42
თეთრი წყაროს	ვ. მ. თეთრუაშვილი	ა. ს. ბექაური	56	53	71	42
დუშეთის	გ. ი. ზოტიკაშვილი	ვ. ა. ბურდული	47	50	73	58
გორის	დ. ვ. დადიანი	რ. ა. ბზიშვილი	79	45	51	32
ახალციხის	ი. ს. ხარისჩარაშვილი	ლ. მ. ისაკაძე	60	48	96	6
ზესტაფონის	მ. მ. სამხარაძე	გ. დ. ყიფიანი	95	71	96	—
სამტრედიის	გ. ნ. ქართველიშვილი	კ. ნ. შავიშვილი	116	61	76	—
ამბროლაურის	ბ. ო. მინდელი	მ. გ. ჯინჭველაშვილი	79	36	113	—
წყალტუბოს	მ. ა. ღოღობერიძე	ო. გ. აბესაძე	114	77	97	—
მახარაძის	ვ. ე. ჯაფელი	ვ. ზ. თოხაძე	110	73	108	—
ცხაკაიას	დ. მ. ბალათურია	ნ. პ. შონია	90	58	81	—
ზუგდიდის	ა. მ. ჭეფია	ა. კ. ქვარცხავა	75	42	70	—
აფხაზეთის ასსრ			124	27	46	10
სოხუმის	ს. ნ. ალანია	ვ. მ. კოკაია	110	17	30	11
გუდაუთის	მ. ს. არჯენია	ხ. ა. ავიძბა	141	46	50	—
აჭარის ასსრ			72	43	87	—
ქობულეთის	რ. მ. სიორიძე	ნ. დ. ხახუტაიშვილი	127	48	61	—
შუახევის	შ. კ. ჩხაიძე	ა. ლ. ბოლქვაძე	53	33	130	—
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	პროდუქტ. წარმოებისა და დამზადების სამმართვ. უფროსი ს. ნ. დარსაველიძე		82	38	65	47
სულ საქართველოს	სსრ რესპუბლიკაში		74	53	73	49

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

ჩვენ დიად საქმეებში

ვიმეჯროთ, ვიმეგობროთ

იტალიის სამოცი ფირმა, რომლებსაც წარმოადგენს საზოგადოება „ნოვასიდერი“, მონაწილეობას მიიღებს მოწყობილობისა და მრეწველობის პროდუქციის გამოფენაში, რომელიც გაიხსნება 28 მაისს მოსკოვში, სოკოლნიკის კულტურისა და დასვენების პარკში.

საზოგადოება „ნოვასიდერის“ გენერალურმა დირექტორმა პიერო სავორტიმ აცნობა საკდესის „კორესპონდენტს, რომ ეს გამოფენა ყველაზე დიდი იქნება იმ გამოფენებიდან, რომლებიც მოუწყვია საზოგადოებას საზღვარგარეთ. ფირმები, რომელთა დიდი ნაწილი თანამშრომლობს საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებთან, აჩვენებენ თავიანთი უახლესი პროდუქციის ნიმუშებს: ავტომანქანებს, ტრაქტორებს, რკინიგზის მოწყობილობას, ჩარხებს, კომპლექსურ დანადგარებს, მრეწველობის სხვადასხვა დარგის მოდელებს. ექსპონატების გადაზიდვისათვის საჭირო იყო ორასზე მეტი დიდი წონის სარკინიგზო ვაგონი.

პიერო სავორტიმ აღნიშნა, რომ იმ გამოფენებთან შედარებით, რომლებიც მოსკოვში მოუწყვიათ სხვა ქვეყნებს, ამ გამოფენაზე ექსპონირებულ იქნება მხოლოდ წარმოების საშუალებანი. მოწყობილობის დიდი ნაწილი მოქმედების დროს იქნება ნაჩვენები.

ჩვენი გამოფენის მიზანი, განაცხადა პიერო სავორტიმ, არა მარტო ის არის, რომ საბჭოთა ადამიანებს გააცნოს იტალიის ფირმების უახლესი პროდუქცია, არამედ ისიც, რომ კიდეე უფრო გაალრმავოს და გააფართოოს არსებული თანამშრომლობა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოფენის მონაწილე ფირმები „მზად არიან შემდგომ გაათართოონ საგაჭრო და ტექნიკური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან ურთიერთხელსაყრელი პირობებით. ჩვენი დევიზია: ვიეაჭროთ — მაშასადამე ვიმეგობროთ! (საკდესი).

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების V სრულიად საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 23 მაისი. (საკდესი). დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მუშაობას განაგრძობს სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მეხუთე სრულიად საკავშირო ყრილობა.

ყრილობის დელეგატები განიხილავენ საბჭოთა კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენებასა და მოხსენებას არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების წესდების ცვლილებათა შესახებ. დილის სხდომაზე კამათში პირველი გამოვიდნენ უბზეკეთის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ე. სოხაცკი, გორკის საავტომობილო ქარხნის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე კ. ა. ლებედევი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. კამშალოვი.

(საკდესი).

გუშინ პლანტაციებში

სხაკაია ცხაკაიას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოწინავე მეჩაიეები ყოველდღე აძლიერებენ ფოთლის კრეფის ტემპს. ხორშის კოლმეურნეობის წევრმა **გოგუცა გუგუნავამ** გუშინ მოკრიფა 90 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, სოფელ ეფის კოლმეურნეობაში **ელენე ცხვიტარიამ** — 60 კილოგრამი, უშაფათის კოლმეურნეობაში **ფეფო ბუნწარიამ** — 85 კილოგრამი, ხოლო **ბუცა გოგინავამ** — 70 კილოგრამი.

აგარა სამიქაოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა **აგრაფინა კაჭარავამ** ერთ დღეს მოკრიფა 55 კილოგრამი ჩაის ნედლეული, ძველი აბაშის კოლმეურნეობის წევრმა **ნინო ტყებუჩავამ** — 60 კილოგრამი.

ჩხოროწყუ სოფელ კირცხის კოლმეურნეობაში **ნათელა მოსიამ** მოკრიფა 60 კილოგრამი ჩაის ნედლეული, ხოლო **მავრა ვეკუამ** — 66 კილოგრამი.

ვათუმი ჩაისუბნის კოლმეურნეობის წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ლეილა ძნელაძემ** ერთ დღეს 74 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ამავე კოლმეურნეობის მეჩაიემ **ნაზი ფალავანდიშვილმა** — 75 კილოგრამი, ხოლო **ნადიდე ფალავამ** — 60 კილოგრამი.

ქობულეთი ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის მუშამ, სოციალისტური შრომის გმირმა **მართა სტოიაკინამ** მოკრიფა 75 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, **ლენა ველიჩინსკაიამ** — 70 კილოგრამი.

დიდების სამი საუკუნე

დაახლოებით 70 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პავლე ტრეტიაკოვმა ქალაქ მოსკოვს საჩუქრად გადასცა მის მიერ შეგროვებული შესანიშნავი კოლექცია სურათებისა. „ტრეტიაკოვკა“ — სიყვარულით უწოდებენ მოსკოველები რუსული ხელოვნების ამ საგანძურს. მილიონობით საბჭოთა ადამიანი, მრავალი უცხოელი სტუმარი მიდის ტრეტიაკოვის გალერიაში, რომ ნახოს წარსულის დიდი რუსი ოსტატების ტილოები და ჩვენი თანამედროვე მხატვრების საუკეთესო ნაწარმოებები.

— აქ მოსვლის მსურველი იმდენია, რომ ახლანდელ პირობებში ხელოვნების ყველა მოყვარული ვერ შეძლებს ჯეროვნად გაეცნოს ექსპოზიციას, — უთხრა საგენტო „ახალი ამბების“ კორესპონდენტს გენრიხ ლიდინს გალერიის დირექტორმა პოლიკარპე ლებედევმა. — თვითონ განსაჯეთ: ჩვენი სტუმრების რიცხვი, განსაკუთრებით კვირა-უქმე დღეებში, 6-8 ათასს აღწევს. წლის განმავლობაში გალერიის დარბაზებში 13-15-ჯერ მეტი მნახველი გაივლის ხოლმე, ვიდრე რევოლუციამდელ დროს. სივიწროვეა ახლა ტრეტიაკოვკაში.

გაიზარდა ექსპონატების რაოდენობაც: ნაცვლად 4.060-სა, რაც ოქტომბრის წინ იყო, ისინი ახლა 36 ათასი გახდა.

დარბაზების შეზღუდული სიდიდე შესაძლებლობას არ გვაძლევს ჯეროვნად მოვაწყოთ ექსპოზიცია. ბოლოს, ახლანდელ შენობაში ყოველთვის როდია შესაძლებელი ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის სათანადო რეჟიმის შექმნა. ტრეტიაკოვის გალერიის ძველი შენობა აღარ შეეფერება თანამედროვე მოთხოვნებს.

მალე მოსკოვს დაამშვენებს სსრ კავშირის სურათების სახელმწიფო გალერიის ახალი მონუმენტური შენობა, რომელიც მდინარე მოსკოვის ყირიმის სანაპიროზე აშენდება. პროექტი შესრულებულია ი. ვ. ეოლტოვსკის სახელობის არქიტექტურულ სახელოსნოში — მოსპროექტის ერთ-ერთ წამყვან სახელოსნოში.

შენობას ექნება სამი ხართული და ერთი ეოკოლის სართული. რკინაბეტონის ნათელი პანელებით აგებული ეს შენობა კარგად იქნება შეხამებული მის გარშემო მდებარე მწვანე პარკთან. ფასადს დაამშვენებს დეკორაციული სკულპტურები, მოზაიკური ფერწერა, ბარელიეფები.

ძალიან მოსახერხებელია მომავალი შენობის შიგნითი დაგეგმვა. განყოფილებები განლაგებულია ისტორიული თანმიმდევრობით, მაგრამ ექსკურსანტებს ადვილად შეეძლებათ სხვა განყოფილებათა გაუვლელად მოხვდნენ სწორედ იმ განყოფილებაში, რომელიც მათ აინტერესებთ.

ასორმოცდაათი საექსპოზიციო დარბაზის საერთო სიგრძეა სამი კილომეტრი, ხოლო მათი სიმაღლე — საშუალოდ შვიდი მეტრი.

სპეციალური აპარატურა უზრუნველყოფს ჰაერის საჭირო ტემპერატურასა და ტენიანობას შენობაში, ხელს შეუწყობს მტვრის სწრაფად მოშორებასა და შენობის ვენტილაციას. თუ ბუნებრივი განათება საკმარისი არ იქნება, მას დაეხმარება ხელოვნური, რომლის რეგულირება ავტომატურად ხდება.

გარდა საექსპოზიციო დარბაზებისა, გალერიაში გათვალისწინებულია საცავები, კაბინეტები მეცნიერული მუშაობისათვის, ბიბლიოთეკა, არქივი, სარესტავრაციო სახელოსნოები, ფოტოთეკა და ფოტოლაბორატორია, 500 კაცზე გაანგარიშებული ლექტორიუმი.

— ახლა ტრეტიაკოვის გალერიაში ერთდროულად შეიძლება იყოს ორი ათას ხუთასამდე კაცი,—თქვა დასასრულ პოლიკარპე ლებედევმა. —ახალ შენობაში ექსპოზიციას ყოველდღიურად შეიძლება გაეცნოს 20 ათასი დამთვალიერებელი.

საგენტო „ახალი ამბები“.

სსრ კავშირის სურათების სახელმწიფო გალერიის შენობის პროექტი.

ახალი მანქანა

სვერდლოვსკელმა სპეციალისტებმა შექმნეს მადნის დასატვირთ-გამოსაზიდი ახალი მანქანა, რომელიც სავსებით გამორიცხავს ხელის შრომას ამ ოპერაციის დროს. ორ-სამ წუთში აგრეგატი ტვირთავს ბუნკერის მოწყობილობას, რომლის წონა ერთი ტონაა, გადაკვეს მადანი გადაზიდვის ადგილზე და ერთ-ორ წუთში ცლის მას. (საკდესი).



გაზაფხული მოსკოვის კრემლში.

სომხური ანბანი 1600 წლისაა

სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საზეიმო კრებაზე

ერევანი. (საკდესი). 22 მაისს აქ გაიმართა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა სომხური დამწერლობის შემქმნელის მესროფ მაშტოცის დაბადების 1600 წლისთავს.

კრებას გახსნისას მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ვ. ა. ამბარცუმიანმა თქვა:

— ამ დღეებში სომეხი ხალხი საზეიმოდ აღნიშნავს თავისი დიდი შვილის მესროფ მაშტოცის დაბადების 1600 წლისთავს. ჩვენ ვამაყობთ, რომ გენიალური მეცნიერის მიერ შექმნილი სომხური ანბანი პირველი ეროვნული ანბანია ჩვენი ქვეყნის ხალხების ისტორიაში. აი რატომ არის, რომ ეს სახელოვანი იუბილე არა მარტო სომეხი ხალხის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ხალხების დღესასწაულია.

კრების მონაწილეებმა მოისმინეს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების ა. ს. ლარიბიანისა და ა. გ. ოიანისიანის მოხსენებანი სომხური დამწერლობის შექმნის ისტორიისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ს. ტ. ერემიანის მოხსენება „მესროფ მაშტოცი და მისი ეპოქა“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ კ. გ. კაფადარიანისა — „უძველეს სახელობათა სომხური დაწერილობანი“ და სხვ.

პედაგოგიურ თემაზე

სკოლა და ოჯახი

კლასის ხელმძღვანელის ჩანაწერებიდან

ოჯახისა და სკოლის მჭიდრო, გულახდილი კავშირი მეტად სასარგებლო და საიმედო საშუალებაა ბავშვის ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი აღზრდა-განვითარებისა. კლასის ხელმძღვანელს წესად უნდა ჰქონდეს შემოღებული დაესწროს მოსწავლეთა მშობლების კრებას ყველა კლასში, სადაც ასწავლის. ეს საშუალებას მისცემს ახლო გაეცნოს მშობლებს, მოისმინოს სხვა კლასის ხელმძღვანელთა და საგნის მასწავლებელთა საუბარი მოსწავლეთა შესახებ, დაკვირდეს მშობელთა გამოსვლებს, თავისთვის გითვალისწინოს ბევრი საინტერესო მომენტი.

მშობელთა კრებებზე სისტემატური დასწრება კლასის ხელმძღვანელს დიდად უწყობს ხელს იმაში, რომ მოკლე დროის მანძილზე კარგად შეისწავლოს მოსწავლეთა დამახასიათებელი თავისებურებანი, მათი ოჯახური პირობები.

კლასის ხელმძღვანელის მუშაობაში მთავარია მშობლებთან ახლო, საქმიანი ურთიერთობა, გულწრფელი და გულითადი კონტაქტი, ურთიერთნდობა.

...იანვრის მიწურული იყო. სკოლის ბიოლოგიის კაბინეტში მოსწავლეთა ნაშუშვერებს ვთვალიერებდი. იმ საღამოს თეატრში ვაპირებდი წასვლას და გეგმაში არ მქონდა ჩემი საღამოგებლო კლასის რომელიმე მშობელს შევხვედროდი.

საათმა ექვსჯერ დარეკა. წამოვდექი და წასასვლელად მოვემზადე. ამ დროს კარი გაიღო და მოსწავლე ნ-ის მშობელი შემოვიდა. ამ ბავშვმა წინა გაკვეთილზე ჩემს საგანში ხუთიანი მიიღო.

მშობელი, თუმცა თავს იკავებდა, მაინც ეტყობოდა აღელვება. მივუახლოვდი, მომესალმა. ხელი ჩამოვართვი და მივახარე, შენმა გოგონამ მასიამოვნა, გაკვეთილი ჩინებულად ჩამაბარა-მეთქი. დედამ ძალდატანებით გაიღიმა, სწორედ ამიტომ მოვედიო, მითხრა და დაუმატა: რაკი ხუთიანები დაუწერეთ, მერე წიგნს ხელს არ ჰკიდებს. ახლა სხვა საგანი უნდა ვისწავლო, ამაში უკვე გამოძახებული ვარო... გთხოვთ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე.

მე გულდასმით მოვუსმინე მშობელს და როცა გავისტუმრე, ბევრი ვიფიქრე იმაზე, თუ რამდენი თვალი და ყური უნდა ჰქონდეს მასწავლებელს, როგორ აუცილებელია იცნობდეს ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ ხასიათს, ყოველდღიურობას.

გათენდა მეორე დღე. გაკვეთილი დავიწყე, ეურნალი ამოვიკითხე, მერე გამოვცხადე, ამა გაკვეთილის ვინ მომიყვება-მეთქი. ხელი ბევრმა ასწია. მათ შორის იმ მოსწავლემაც. არ დავაყოვნე, გამოვუძახე... გაუკვირდა, ზანტად წამოდგა, გაწითლდა, მაგრამ არ დაიბნა, გაკვეთილის მოყოლა მაინც დაიწყო. ეტყობოდა წიგნი წაკითხული არ ჰქონდა, მეხსიერებას ეძალებოდა, თან მოკარნახებებს გაფაციცებით უგდებდა ყურს. შევაჩერე, კითხვები დავუსვი. ამჯერადაც არადამაჯერებელ, ორჭოფულ პასუხს იძლეოდა. მოვთხოვე დღიური. მომაწოდა. დავაპირე ორიანის ჩაწერა. ბავშვმა ტირილი დაიწყო და მთხოვა მეპატიებინა. მეც ვაპატიე მხოლოდ იმ პირობით, რომ მსგავს შემთხვევას არ გაიმეორებდა. თან გავაფრთხილე არ დაემალა ეს სამწუხარო ამბავი მშობლებისათვის, დაწვრილებით ეამბნა.

შევამოწმე. ისიც ისე მოქცეულა, როგორც დავავალე. მას შემდეგ იმ მოსწავლეს მუდამ მზად ჰქონდა გაკვეთილი ყველა საგანში.

მეორე შემთხვევა: მერვე კლასის მოსწავლე ბ-ძის მშობელმა დიდი ბოდიშითა და მორიდებით განმიცხადა: ჩემმა შვილმა შაბათს შინ დღიური არ მოიტანა, ამბობს, დავკარგეო. არ ვიცი, მართალია თუ ცუდი ნიშანი მიიღო და ამიტომ დამიმალა.

მშობელს მადლობა ვუთხარი ამ ცნობისათვის და გავისტუმრე. გაკვეთილი დაიწყო თუ არა, მოსწავლეს დღიური მოვთხოვე. იგი შეეცადა დავერწმუნებინე, რომ დღიური დაკარგა. მე არ დავუჯერე და კატეგორიული წინადადება მივეცი მოეტანა. გავაფრთხილე, რომ წინაღმდეგ შემთხვევაში კლასის წინაშე გაკიცხავდი და კომკავშირის ორგანიზაციას დასასჯელად გადავცემდი.

მოსწავლემ ყოყმანი დაიწყო. აღმოჩნდა, ვეცდები ყველგან მოვძებნო და იქნებ ვიპოვნოო. მეორე დღეს გაკვეთილების დაწყებამდე ისევ შეეხვედი და მან ყველაფერი გულწრფელად აღიარა. დღიური თურმე ამხანაგთან ჰქონია გადამალული, მშობლებს უმალავდა ორიანებს.

ერთი კვირის შემდეგ დაბადების დღეს მიხდიან და მეშინოდა ორიანების გამო მშობლებს უარი არ ეთქვათო, — დაუმატა უმაწვილმა.

მესამე მაგალითი: ერთხელ მშობელმა შემომჩივლა, ჩემ შვილს ტ-ს რა მოვუხერხო, არ ვიცი. ყოველ დილა საუზმეს გავუმზადებ და მერე გავრბივარ სამსახურში. თვითონ გვიან დგება. საუზმეს ვერ ასწრებს, სამაგიეროდ სახლიდან მიაქვს ფული და სკოლის ბუფეტში საუზმობს ამხანაგებთან ერთად. ტანისამოსისა და ფეხსაცმლის გაწმენდა ეზარება, ლოგინს აყრილ-დაყრილს, გაუსწორებელს ტოვებს, ღილის დაკერება ხომ დიდ სამარცხვინო საქმედ მიაჩნია, კლასგარეშე წიგნებს კითხულობს გვიანობამდე და დილით ადგომაც ინატომ უჭირს. საუზმეს ვერ ასწრებს და სკოლაშიც ყოველთვის უგვიანდება.

გამოვუძახე ბავშს და დედის თანდასწრებით ვესაუბრე ყველა იმ ნაკლზე, რის გამოც დედა უჩივოდა. ვესაუბრე იმაზეც, რომ მარტოხელა დედა დილიდან სალამამდე მუშაობს მისი კეთილდღეობისათვის, ხოლო იგი კი არ აფასებს ამას. ბოლოს ვურჩიე მშობელ დედას მოხმარებოდა საოჯახო საქმეების კეთებაში, დაეჯერებინა და პატივი ეცა მისთვის. მოსწავლემ საუბარი უყურადღებით მოისმინა, შეცდომები აღიარა, პირობა დადო და შეასრულა კიდეც.

არიან სხვა კატეგორიის მშობლებიც, რომლებიც თვალთმაქცობას, მოტყუებას და თვალის ახვევას ცდილობენ, ყოველთვის ამართლებენ თავიანთ შვილებს და გულწრფელობას არ იჩენენ სკოლისა და აღმზრდელ-მასწავლებლების წინაშე.

ერთ დღეს გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მოსწავლე ნ-ს მშობელი მოვიდა და განმიცხადა: ხვალ და ზეგ ჩემი შვილი სკოლაში ვერ მოვა, რადგან ექიმთან უნდა წავიყვანო ავადმყოფობის საფუძვლიანად შესწავლის მიზნითო. რაკი ასეა, — ვუთხარი, — ექიმს ცნობა გამოართვით და ბავშს თან გამოატანეთ-მეთქი. მშობელი დაიბნა და უკმაყოფილოდ მომიგო, რა საჭიროა ექიმის ცნობა, ნუთუ საკმარისი არ არის ჩემი გულწრფელი განცხადებაო. მე განვუმარტე სკოლისათვის ასეთი საბუთის საჭიროება და დავშორდით ერთმანეთს.

მშობელი წავიდა. რაკი დამიქვავა მისმა მოქმედებამ, მეორე დღეს გაკვეთილების შემდეგ ბინაზე მივაკითხე. გამოირკვა, რომ ნ-ს მშობლები წინაღამით რაიონში წასულიყვნენ ახლო ნათესავის ქორწილში, ხოლო ჩემი მოსწავლე, რომლის განთავისუფლებას ავადმყოფობის გამო მამა მთხოვდა, შინ უმცროსი ძმის მეთვალყურეად დაეტოვებინთ.

მეორე მაგალითი. მოსწავლე თ. გ-ძეს სანიმუშოდ ჰქონდა ჩახატული რვეულში საშინაო დავალება და დაკვირვებით ამოწერილი ნაწარმოების მთავარი ადგილები. იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამ ნამუშევრის შემსრულებელს აუცილებლად უნდა სცოდნოდა გაკვეთილი.

მაგრამ მოხდა პირიქით. მოსწავლემ გაკვეთილი არ იცოდა. თურმე რვეულში ყველა სამუშაო დედას შეუსრულებია. დეიდასთან სტუმრად ვიყავით და შინ გვიან დავბრუნდითო, — თქვა დარცხვენილმა ბავშვმა.

ერთ დღეს გაკვეთილზე მოუმზადებლად მოვიდა სამი მოსწავლე. კლასის წინაშე გავკიცხე და გავაფრთხილე, როგ დარჩენილიყვნენ გაკვეთილების შემდეგ სამეცადინოდ. დამთავრდა გაკვეთილები, დავიწყეთ დამატებითი მეცადინეობა. გავიდა 25 წუთი... აღელვებული მშობელი შემოვიდა ბიოლოგიის კაბინეტში და მკითხა, ჩემი შვილი რათ დაგიტოვებიათო. როდესაც მშობელი დავამშვიდე და საქმის ვითარება ავუხსენი, მან, სამწუხაროდ, ასე მიპასუხა: ბატონო, რას იტეხ თავს, დაუწერე ორიანი და ამით შენი ვალი მოხდილი იქნებაო.

მე უფრო ახლო გავეცანი ამ მოსწავლის ოჯახურ პირობებს. გამოირკვა, რომ მისი დედა და მამა გაყრილი-ყოფილან. ამით თურმე სარგებლობს ბავშვი. აწყენინებს მამა, იგი დედასთან გარბის, გაუჯავრდება დედა — მაშინვე მამას მივარდება. ორივე მხარე იძულებულია ბავშვის თითქმის ყველა სამართლიანი თუ უსამართლო მოთხოვნა დაკმაყოფილოს. ასე არასწორი გზით ცდილობენ მშობლები შვილის გულის მოგებას და ბავშვის თვალში მზრუნველი დედ-მამის სახელის შენარჩუნებას. ასეთ შემთხვევაში პედაგოგს განსაკუთრებული ტაქტისა და გულისხმიერების გამოჩენა სჭირდება, რათა ბავშვი მავნე ზეგავლენისაგან იხსნას.

აკადემიური წარმატების, სკოლასა და ოჯახს შორის მჭიდრო კავშირის დამყარების, მასწავლებლისა და კლასის ხელმძღვანელის მუშაობის გაადვილების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის დღიურის სწორად წარმოებას.

მშობელთა არც ისე მცირე ნაწილი ხშირად უყურადღებოდ ეკიდება დღიურების წარმოებას, „მოუცლელობის“ მიზეზით არ სინჯავს და ხელს არ აწერს მას. მეშვიდე კლასის მოსწავლე გ. შ-ი თვითონ წერს ნიშნებს დღიურში, მშობლის მაგიერაც თვითონ აწერს ხელს. ეს იმიტომ, რომ მის დედამამას სექტემბრიდან დღემდე ერთხელაც არ გახსენებიათ და არ დაინტერესებულან ნახით შვილის დღიური. ასეთი უყურადღებობის შედეგია, რომ ეს ბავშვი მიჩვეულია სიყალბეს, თვალთმაქცობასა და აკადემიურადაც ჩამორჩენილა.

ზოგიერთი დღიურში მშობელი ხელს რომ არ აწერს, ამას მოსწავლეები ასეთი არგუმენტით ხსნიან: „დედას არ ეცალა“, „დედა ნაწყენია ჩემი ნიშნებით“ და სხვ.

დავუშვათ ერთი წუთით, რომ ეს მართალია, მაგრამ სად იყო მამა, რატომ მან არ მოაწერა ხელი დღიურზე? ასეთი კითხვების დროს მოსწავლეთა ერთი ნაწილი დუმს, მეორე ნაწილი კი განმარტავს: მამას წნევა აქვს, ძალიან ნერვიულია, მამისა მეც და დედასაც გვეშინია, ჩემი ცუდი ნიშნების გამო მშობლებს შორის ხშირად უსიამოვნებაა.

ასეთი პასუხი, თქმა არ უნდა, სწორი არ არის. მამები, სამწუხაროდ, აქტიურად არ მონაწილეობენ სკოლის მუშაობაში, ახლოს არ არიან მასწავლებლებთან, არ ერევიან შვილების აღზრდის საქმეში.

სკოლა და ოჯახი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში უნდა იყონ. მასწავლებლისადმი მშობლის ნდობა, გულწრფელობა დიდი საქმეა. იგი ხელს უწყობს მოსწავლის სწორად აღზრდას, სკოლის წინაშე დასახული დიადი ამოცანების ღირსეულად შესრულებას.

გ. გაბიტაშვილი,

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი, X კლასის ხელმძღვანელი.

ქართული ავტომობილის დაბადებიდან განვლილი წლები ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივის ზრდისა და დაოკაკაცების წლებია. ქუთაისელმა ავტომშენებლებმა შესანიშნავად გადაწყვიტეს ახალი სრულყოფილი კონსტრუქციის ავტომობილების შექმნის საკითხი.

ახლა ჩვენი ქვეყნის ავტომაგისტრალებზე, ახალმშენებლობებზე, მინდვრებსა და პლანტაციებში დაჰქრიან ქუთაისური მარკის თვითსაცლელები, ცემენტსაზიდები, ბამბასაზიდი ავტომატარებლები და ავტოსაწვრები.

ქარხნის ყველა საამქროში, უბნებსა და განყოფილებებში გაბედულად ხორციელდება საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია. მოიწყო ახალი ნაკადური, ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზები. ქართული ავტომობილის მშენებლები წარმატებით ძლევენ სიძნელეებს და მიდიან წინ შვიდწლედის ახალი ზღუდეების დასაპყრობად.

სურათზე: „კოლხიდის“ მარკის ავტოსაწვრების მორიგი ახალი პარტია.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ინიციატივა, თაოსნობა

დეტალების მეორე სიცოცხლე

ინჟინერმა ჯელალ არკადის-ძე ბიწაძემ გაცვეთილი დეტალი დაამგარა, ასამუშავებელ ღილაკს თითი დააჭირა, მბრუნავ ნაკეთობას შესადები თავი მიუახლოვა და დაუყოვნებლივ ჩართო მავთულის მიმწოდებელი მექანიზმი. მავთული დეტალის ზედაპირს რომ შეეხო, მაშინვე იელვა შესადუღმა რკალმა.

სუპორტის შემწეობით შესადუღმა თავმა გადაანაცვლა დეტალის ღერძის გაყოლებით და მის ზედაპირზე გაჩნდა გამდნარი მავთულის ხვეულები.

პროცესი დამთავრდა, მექანიზმები გამორთულია — სულ რამდენიმე წუთი დასჭირდა იმას, რომ მოცვეთილ ზედაპირზე დადუღებულიყო ოთხი მილიმეტრი სისქის ლითონის ფენა.

ახალ პროგრესულ მეთოდს ბევრი უპირატესობა აქვს. დეტალის აღდგენის პროცესში იწრთობა დადუღებული ნაკერი და დეტალს ალარ ესაჭიროება თერმული დამუშავება. იმპულსურ-რკალურმა დადუღებამ ჩელიაბინსკის სტრატაქტორო ქარხანაში საყოველთაო აღიარება ჰპოვა და ფართოდ დაინერგა. ამ წესით აღადგენენ ელექტრომოტორების როტორების ლილვებს, შპინდელების და ჩარხებისა და მანქანების ბევრი სხვა (დაახლოებით 60 სახელწოდების) დეტალის მოცვეთილ ზედაპირს. დეტალების აღდგენა იმპულსურ-რკალური დადუღების შემწეობით შესაძლებლობას გვაძლევს დავზოგოთ წელიწადში ათეულ ათასობით მანეთის ლითონი და შრომითი დანახარჯები.

იმპულსურ-რკალური დადუღების დანადგარის კონსტრუქცია რთული არ არის. იგი შედგება ჩვეულებრივი „დიპ-200“ სახარატო ჩარხისაგან, რომელშიც შემცირებულია შპინდელის ბრუნთა რიცხვი და დამონტაჟებულია დასადუღებელი თავი. უკანასკნელს აქვს შესადუღი მავთულის მიმწოდებელი მექანიზმი და ელექტრომაგნიტური ტიტი.

ჩელიაბინსკელი ტრაქტორმშენებლები ხალისით უზიარებენ სხვებს მანქანების დეტალების აღდგენის სამუშაოს ორგანიზაციის გამოცდილებას. მათ ჩვენი ქვეყნის ასობით საწარმოს გაუზავნეს ნახაზი დოკუმენტაცია და დაწვრილებითი ტექნოლოგია:

ინჟინერმა ჯ. ბიწაძემ გვიამბო, თუ დროებით როგორ გახდა ოპერატორი იმპულსურ-რკალური დადუღების დანადგარისა ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის № 1 სარემონტო-მექანიკურ საამქროში. ამბ. ბიწაძემ 1955 წელს დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ინჟინერ-მექანიკოსად გაგზავნეს სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მტს-ში. ყოველთვის, როცა კი ტრაქტორების რემონტს იწყებდნენ, მუშები აწყდებოდნენ სერიოზულ სიძნელეებს — არ ჰყოფნიდათ სათადარიგო ნაწილები. გულსატკენი იყო, ბევრ გაცვეთილ მუხლა ლილვს, თვლის მორგვებს, თვლებს, ბარბაცას თითებს, საბიგებლებს, ჯვარედებს და სხვა დეფიციტურ დეტალებს ჯართად რომ გზავნიდნენ.

როცა შეიტყო, რომ ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანაში შემოღებულია მანქანათა გაცვეთილი დეტალების მასობრივი აღდგენა, ჯ. ბიწაძემ გადაწყვიტა ადგილზე ღრმად შეესწავლა სახალხო მეურნეობისათვის ახალი პერსპექტიული პროცესი. იგი შეეკითხა ჩელიაბინსკის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის რექტორს ამხ. ი. ე. ულმანს (იმპულსურ-რკალური დადუღების მეთოდის ერთ-ერთ ავტორს). ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნისა და ინსტიტუტის თანხმობა რომ მიიღო, ამხ. ბიწაძე ჩელიაბინსკში ჩამოვიდა. 1960 წლიდან — ორი წლის მანძილზე ამხ. ბიწაძე მთელი ძალღონით ჩაება გაცვეთილი დეტალების აღდგენის პროცესის შესწავლასა და სრულყოფაში.

განსაკუთრებით გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი სამჭედლო წნეხების გაცვეთილი მუხლა ლილვების აღდგენის უფრო რაციონალური წესის შემუშავებას. დადუღებით მათი აღდგენის ცდებს დიდხანს წარმატება არ ჰქონდა — ლილვები ტყდებოდა.

ამხ. ბიწაძეს დიდი დახმარება გაუწიეს ჩელიაბინსკის სატრაქტორის ქარხნის მთავარი მექანიკოსის მოადგილემ ი. ი. ბარგშტეინმა და ჩელიაბინსკის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის რექტორმა ი. ე. ულმანმა.

ექსპერიმენტები, რომლებიც რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა, პირველი წარმატებით დაგვიგვირგვინდა. გამოირნახა დეტალების დაღლილობის ადგილების ადგილ-ადგილ ადგენის ოპტიმალური რეჟიმები. მაგალითად, ი ეკვე დაბლოებით წელიწადია უაღრესად მუშაობს მაღალი სიხშირის გენერატორის ლილვი მას შემდეგ, რაც მისი გაცვეთილი ყველა პროგრესული წესით აღადგინეს.

გაცვეთილი დეტალების აღდგენის ახალი რეჟიმები შეტანილია საქარხნო ინსტრუქციაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის ბევრ სარემონტო საწარმოს დაეგზავნა.

ამხ. ბიწაძე ღღისით დანადგარის ოპერატორად მუშაობდა, საღამოს კი ამზადებდა მასალებს დისერტაციისათვის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტაციის თემაა „იმპულსურ-რკალური დადუღებით აღდგენილი დეტალების დაღლილობის გამოკვლევა“.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სიუხვის შექმნის პროგრამა, — ამბობს ჯ. ბიწაძე, — მე არ დავიშურებ ძალღონესა და შემოქმედებითს ენერგიას, რომ მანქანათა დეტალების აღდგენის შეძენილი გამოცდილება გადავცე სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს.

მანქანების გაცვეთილი დეტალების მასობრივ აღდგენას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. იგი შესაძლებლობას მოგვცემს აღვადგინოთ უამრავი დეტალი, დავზოგოთ ბევრი ლითონი, გავთავისუფლოთ დიდი პარკი მოწყობილობისა, რომელიც მანქანათა დეტალების აღდგენაზე მუშაობს, შევამცროთ შრომითი დანახარჯები.

ამისათვის საჭიროა მოვაწყოთ სპეციალური ჩარხების, შესადუღებელი გენერატორების ცენტრალიზებული და მასობრივი დამზადება და მივაწოდოთ ისინი სარემონტო ქარხნებს, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამრეწველო საწარმოებს.

ი. ბუხმანი.

სიახლეთა დანერგვის გგზით

ახალი ტექნიკის, შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვით შვიდწლედის მეოთხე წელს უკეთეს მაჩვენებლებს აღწევენ ახალციხის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის საკონსერვო ქარხნის, ლიმონათის, საკონდიტრო, ხის დამუშავების საწარმოები და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

საკონსერვო ქარხანაში ახლო მომავალში დამონტაჟდება ახალი დიდი სიმძლავრის საორთქლე ქვაბი, დაიდგმება ვაკუუმ-აპარატები და ქილების ავტომატურად მხუფავი მანქანები.

საკონდიტრო საწარმოში განხორციელდა მთლიანი რეკონსტრუქცია, დამონტაჟების პროცესშია სამაცივრო დანადგარები. 1962 წლის მეორე კვარტალში ეს საწარმო დაიწყებს ახალი პროდუქციის — კისელის ფხვნილის გამოშვებას ადგილობრივი სახამებლის წარმოების ბაზაზე.

ამ ღონისძიებების განხორციელების შედეგად კომბინატის საწარმოებში მნიშვნელოვნად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება და ამაღლდება მისი ხარისხი.

კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა ენერგიული შრომით პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა. საწარმოს მთელი კოლექტივი ახლა წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ წლიური გეგმა 5 დეკემბრისათვის შეასრულოს. შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 5 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 2 პროცენტით.

ო. ახვლედიანი.



გაჩაღებულია სამუშაოები ენგურჰესის მშენებლობის წინა ხაზზე — პირველ უბანზე უკვე გაყვანილია 630 მეტრი წრიული გვირაბი.

სურათზე: მომავალი კაშხლის ადგილას გეოლოგები იღებენ გრუნტის სინჯს.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

საქმაართველოს მუშაკების პრაქტიკიდან

ცოცხალი საქმის ორგანიზატორი

ბევრი კარგი და საგულისხმოა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორის კარლო მარგალიტაძის მუშაობაში. მისი ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახლა ჭეშმარიტად შემოქმედებითი შრომა ჩქეფს.

ინსპექტორ-ორგანიზატორი პირველად კეხვის კოლმეურნეობაში მივიდა. აქ სიმინდის მწკრივად სათესი აგრეგატი არ ჰქონდათ, ამის გამო თესვა გვიანდებოდა. მარგალიტაძემ მეორე დღესვე „საქსოფლტექნიკის“ ცხინვალის განყოფილებას მიმართა და მოკლე ხანში მდგომარეობა გამოსწორდა. კეხველმა კოლმეურნეებმა ორგანიზებულად გაიჩაღეს სიმინდის თესვა. 138 ჰექტარზე მალე დამთავრდა ეს სამუშაო.

სიმინდის თესვა გვიანდებოდა სოფელ ხეითის კოლმეურნეობაშიც. არც აქ ჰქონდათ სიმინდის სათესი მანქანა. აი რას ამბობს ამის შესახებ ხეითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ბუგიანიშვილი:

— სიმინდის სათესი მანქანისათვის ინსპექტორ-ორგანიზატორმა მარგალიტაძემ ჯერ გორის რაიონის სოფელ მეღვრეკისას კოლმეურნეობაში წამიყვანა, ხოლო როცა იქ ამის საშუალება არ აღმოჩნდა, ჩვენივე რაიონის ქემერტ-ძარწემის კოლმეურნეობაში მივედით. აქედან გადავიტანეთ სიმინდის მწკრივად სათესი კოლმეურნეობაში და ორგანიზებულად ჩავატარეთ თესვა.

სოფელ კეხვის კოლმეურნეობაში სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ პირუტყვის ხელოვნურად დათესვლას. გეგმით 80 სული უნდა ჰყოლოდათ დათესლილი, მაგრამ კეხველებს გეგმა სანაზღვროდაც არ ჰქონდათ შესრულებული. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს ცხინვალის ხელოვნური დათესვლის სადგურიდან დროზე არ ჰქონდათ მომარაგებული პირუტყვის სპერმა. ინსპექტორ-ორგანიზატორის დახმარებით ეს ნაკლიც გამოსწორდა. ახლა კეხველები შეუფერხებლად აწარმოებენ პირუტყვის დათესვლას.

ინსპექტორ-ორგანიზატორი მარგალიტაძე ყოველთვის ზონის კოლმეურნეობების მინდვრებსა და ბაღ-ვენახებშია. იგი მეურნეობის მდგომარეობაზე მსჯელობს არა კანტორიდან აღებული ციფრებით, არამედ მეურნეობის თვითეული მუშაკის ცოცხალი საქმეების ანალიზით.

მარგალიტაძე კარგად იცნობს ქსუსელი მესიმინდის გულნარა ნასყიდაშვილის, ერედვის საბჭოთა მეურნეობის მუშის ამირან ვახტანგაშვილის შრომითს საქმეებს, რომლებმაც გასულ წელს საშუალოდ ჰექტარზე მარცვლად 100-200 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. ასევე კარგად იცნობს იგი თავის ზონაში თვითეული მწველავის, მეღორის, ბრიგადირის შრომას, ხელს უწყობს მათ ყოველდღიურ საქმიანობაში.

ინსპექტორ-ორგანიზატორი ხშირად გამოდის კოლმეურნეთა საერთო კრებებზე, გამგეობის სხდომებზე, კომუნისტების, კომკავშორელების წინაშე, საჭიროსაკითხები გაიქეს პარტიის რაიკომის ბიუროზე, რაიონული აღმასკომის სხდომებზე განსახილველად. ყოველივე ეს უზრუნველყოფს წარმატებას.

მარგალიტაძის ზონაში მიმდინარე წელს უნდა დათესილიყო 240 ჰექტარი ბარდა, ფაქტიურად დათესილია 297 ჰექტარი. სიმინდდ დათესილია 1.430 ჰექტარი, შაქრის ჭარხალი — 232 ჰექტარი. საგრძნობი გადაჭარბებით არის შესრულებული ხორცისა და კვერცხის შესყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა.

მის ზონაში შედის ერედვის, თამარაშენის საბჭოთა მეურნეობები, მონასტრის, კეხვის, ქემერტ-ძარწემის, ხეითის, სვერის, აჩაბეთის კოლმეურნეობები. ამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების დიდი რეზერვები მოეპოვებათ. აქვთ 13.246 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ენერგიული ინსპექტორ-ორგანიზატორის ყურადღება ყოველთვის ზონისაკენ არის მიპყრობილი.

ზონის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს სჯერათ ინსპექტორ-ორგანიზატორის და ეს არც გასაკვირია. მარგალიტაძეს ბეჯითი შრომით აქვს მოპოვებული მშრომელთა სიყვარული.

საზოგადოებრივი საქმის სიყვარული, შრომა, პასუხისმგებლობის გრძნობა გამარჯვებულთა გზა და ხიდია. სწორედ ამ გზით მიდის ინსპექტორ-ორგანიზატორი კარლო მარგალიტაძე.

ს. ცოტნიაშვილი.

უღელტეხილის მოწინავენი

ხაშური. (საკ. კორ.). სალოკომოტივო დეპოში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მეელმავლეები შრომითს ვახტზე დგანან. მიმდინარე წლის ოთხ თვეში სურამის უღელტეხილის რთულპროფილიან გზაზე გატარებულია მძიმე წონის 300-ზე მეტი მატარებელი და გადაზიდულია ასეულ ათასობით ტონა ზეგეგმითი სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ გვერი მოწინავე ადამიანი გამოავლინა. დეპოში ყოველდღიურად იზრდება მძიმე წონის მატარებლების ტარების ოსტატთა რიცხვი. ელმავლის მემანქანეების გ. დათიაშვილმა, რ. საყვარელიძემ, ლ. გოგრაძემ მძიმე წონის მატარებლების ტარებაში ყველას გაუსწრეს.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ

ᲨᲔᲛᲬᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲨᲔᲛᲬᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ შრომის შემნახველი სალაროები დიდი პოპულარობით სარგებლობენ ჩვენს ქვეყანაში. ათასობით მოქალაქე ყოველდღიურად მიმართავს საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებს.

შემნახველი სალაროები ბევრ სხვადასხვა ოპერაციას ასრულებენ — იღებენ და გასცემენ ანაბრებს, გადარიცხავენ მათ, გასცემენ და ანაღდებენ აკრედიტივებს, ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებს, ყიდიან ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებს, აგრეთვე ანაღდებენ ამ ლატარიის მოგებებს და აწარმოებენ მთელ რიგ სხვა ოპერაციებს.

თუ რა მტკიცედ დამკვიდრდნენ შემნახველი სალაროები მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში, ამას მოწმობს ანაბრათა და მეანაბრეთა რიცხვის განუწყვეტელი ზრდა საქართველოს შემნახველ სალაროებში. ამჟამად რესპუბლიკაში 750 ათასი მშრომელი ინახავს თავისი ანაბრების ანგარიშებზე 220 მილიონ მანეთზე მეტს. საინტერესოა, რომ მარტო შარშან საქართველოს შემნახველმა სალაროებმა 6 მილიონ 363 ათასი სხვადასხვა ოპერაცია შეასრულეს.

მოსახლეობის ფულად დანაზოგებს, რომლებიც მოთავსებულია შემნახველ სალაროებში, დიდი მნიშვნელობა აქვს თვითეული მშრომელის პირადი ბიუჯეტის სწორად და რაციონალურად აგებაში.

ფულს რომ ზოგავს, საბჭოთა ადამიანი სრულებითაც არ ისახავს მიზნად შეზღუდოს თავისი მოხმარება, უარი თქვას თავისი აუცილებლად საჭირო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

დანაზოგების თანდათანობით დაგროვების გზით მშრომელს შეუძლია უკეთ, უფრო სრულად დაკმაყოფილოს თავისი მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი.

თავის ფულად სახსრებს შემნახველ სალაროში რომ ათავსებს, მშრომელი უზრუნველყოფს ამ სახსრების დაცვას, იღებს შემოსავალს თავის ანაბარზე და იძენს მთელ რიგ სხვა უპირატესობებს, რომლებითაც ვერ ისარგებლებდა, თინ რომ შეენახა ფული.

შემნახველი სალაროები შესაძლებლობას აძლევენ მეანაბრეებს ორა მარტო შინახონ თავიანთ ანგარიშებზე თავისუფალი ფულადი თანხები, არამედ თანდათანობითაც დაგროვონ დანაზოგები სხვადასხვა პირად მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მოთხოვნილებებისათვის. მაგალითად, საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ან შესაკეთებლად, ფასიანი ნივთების შესაძენად, კურორტზე წასასვლელად და ა. შ.

შემნახველი სალაროების მეანაბრეებს მნიშვნელოვანი უფლებრივი უპირატესობები და მატერიალური სარგებლობა აქვთ. ამ უპირატესობებს და სარგებლობას აძლევს მათ კანონმდებლობა შემნახველი სალაროების შესახებ.

მეანაბრეს უფლება აქვს რა დროსაც ენდა ერთბაშად მიიღოს თავისი ანაბრის მთელი თანხა ან მისი ნაწილი, შეავსოს ანაბარი, გადაიტანოს იგი ერთი შემნახველი სალაროდან

მოდიბო კეიჯა მოსკოვში

მოსკოვი, 22 მაისი. (საკდესი). მალის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურმა და მთავრობის თავმჯდომარემ მოდიბო კეიტამ და მისმა თანმხლებმა პირებმა დღეს, ინახულეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და გვირგვინით შეამკეს. გვირგვინს ლენტზეა წარწერა: „გენიალურ ლენინს მოწიწებით და პატივისცემით მალის რესპუბლიკის მთავრობისაგან“.

მოდიბო კეიტა მასთან ერთად ჩამოსული პირების, აგრეთვე სსრ კავშირში მალის რესპუბლიკის ელჩის მამადუ ფადიალა კეიტას თანხლებით კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

ლ. ი. ბრეჟნევსა და მოდიბო კეიტას შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელმაც გულითად ვითარებაში ჩაიარა.

მალის სახელმწიფოს მეთაური დღეს ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და მოდიბო კეიტას შორის გაიმართა საუბარი, რომელსაც გულითადი, მეგობრული ხასიათი ჰქონდა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ დღეს საუზმე გამართეს მალის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის თავმჯდომარის პატივსაცემად.

საუზმეზე მოდიბო კეიტასა და მის მეუღლესთან ერთად იყვნენ მისი თანმხლები პირები, აგრეთვე მალის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში მამადუ ფადიალა კეიტა და საელჩოს მრჩეველი ტ. ა. დიალო.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და მისი მეუღლე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი მეუღლე, ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილენი ა. ა. მიორილეპი და ი. ი. პალეცკისი და სხვები.

საუზმის დროს, რომელმაც გულწრფელობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, ლ. ი. ბრეჟნევმა და მოდიბო კეიტამ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ნაშუადღევს მალიდან ჩამოსული საპატიო სტუმარი და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტს. მოდიბო კეიტას მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ი. გ. პეტროვსკი. მან მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისვლის გამო საპატიო მედლები მიართვა სტუმარს.

საპატიო დარბაზში მოეწყო სტუმრების შეხვედრა პროფესორებთან, მასწავლებლებსა და სტუდენტებთან.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოფნის შემდეგ მოდიბო კეიტა და მასთან ერთად ჩამოსული პირები ეცნობიდნენ მოსკოვის ღირსშესანიშნაობებს.

მინსკი, 23 მაისი. (საკდესი). დღეს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირ-მალის მოლაპარაკება. საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი და სხვა ოფიციალური პირები.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში. განიხილეს საბჭოთა კავშირ-მალის ურთიერთობის განვითარების საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს.

მალის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურმა და მთავრობის თავმჯდომარემ მოდიბო კეიტამ 23 მაისს საუზმე გამართა.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ამხანაგები ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი და სხვები.

საუზმის დროს, რომელმაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, მოდიბო კეიტამ და ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ამავე დღეს მოდიბო კეიტა და მისი თანმხლები პირები კვლავ ეცნობოდნენ საბჭოთა კავშირის დედაქალაქის ცხოვრებას. სტუმრები იყვნენ პირველ სახელმწიფო საკისარის ქარხანაში.

საღამოს მალელი სტუმრები დასესწრნენ სპექტაკლს სსრ კავშირის დიდ თეატრში. მალის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ანმერთულ ლოჟაში მოდიბო კეიტასთან და მის თანმგზავრებთან ერთად იყვნენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი და სხვები.

სამარადისო მეგობრობა

მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ყრილობა

ულან-ბატორი, 23 მაისი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დაამთავრა მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მესამე ყრილობამ, რომელიც მკაფიო დემონსტრაცია იყო მონღოლი ხალხის გულწრფელი მისწრაფებისა — დღითიდღე განმტკიცოს ძმური მეგობრობა დიდი საბჭოთა კავშირის ხალხებთან. ეს გრძნობები გამოხატულია ყრილობის მონაწილეთა მიერ ერთსულოვნად მიღებულ წერილებში მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობისადმი, დეპეშაში ნ. ს. ხრუშჩოვისადმი.

საბოლოო სხდომაზე გაიმართა მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს არჩევნები. საბჭომ თავის პირველ პლენარულ სხდომაზე თავმჯდომარედ აირჩია ლ. ცენდი, მის მოადგილეებად — ბ. ბადარჩი, ვ. ლხამსურენი, ხ. ჩულტემი, პასუხისმგებელ მდივნად — ს. ცედენდამბუ.

საქართველოს მშრომელთა გულისწყრომა და აღშფოთება

თერმოატომური იარაღის გამოცდა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები წყნარ ოკეანეში აწარმოებენ, დედამიწის ყველა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები თავიანთი პროტესტისა და აღშფოთების ხმას უერთებენ დედამიწის ყველა პატიოსან ადამიანთა მილიონობით და მილიონობით ხმას, რომელნიც გამოდიან ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ, საყოველთაო, სრული განიარაღებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის მიმართ უხეშმა გამოწვევამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხრივ, რომელმაც ვერაგულად და პროვოკაციულად დაიწყო სერია თერმოატომური იარაღის გამოცდისა მიწაზე, წყალქვეშ, მიწისქვეშ და ატმოსფეროში, ამ უგუნურმა ნაბიჯმა გამალებული ატომური შეიარაღების გზაზე ბოლომდე ამხილა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების განზრახვა, ამხილა ის, რომ მათ არა სურთ ყურად იღონ გონიერების ხმა და დაადგნენ საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ მოლაპარაკების გზას.

„ძალის პოზიციის“ პოლიტიკით დაბრმავებულმა ამერიკის სამხედრო ხროვამ უგულებელყო მთელი მსოფლიოს ხალხთა უშიშროება და დაიწყო სიკვდილისა და ნგრევის საშუალებათა ისედაც შემზარავი იარაღების სრულყოფის ახალი ეტაპი.

ატომური ძლიერების ზრდა, რაც ხელსაყრელია სამხედრო მონოპოლიებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს აგრესიულ ბლოკში მათი მოკავშირის — ინგლისის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა გახდა, მათი მიზეზით 18 სახელმწიფოს კომიტეტში ჯიუტად უარყოფენ საბჭოთა კავშირისა და ნეიტრალისტური სახელმწიფოების მარტივ და ნათელ წინადადებებს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის, საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

საქართველოს მშრომელები გადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ახალ აგრესიულ ნაბიჯს და გამოთქვამენ თავიანთ სრულ სოლიდარობას ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარული ძალებისადმი, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები წყნარ ოკეანეში აწარმოებენ.

საქართველოს პროფკავშირები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა პროფკავშირი, მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ ყველა კონტინენტის ხალხთა გაერთიანებული, მასობრივი, ენერგიული ღონისძიებებით იმპერიალისტი მეატომეები აილაგმებიან, თერმოატომური ომის მორევში მსოფლიოს დამლუპველი ჩათრევა შეჩერებულ იქნება, მსოფლიოს ხალხები გაიკვლევენ გზას საყოველთაო, სრული და კონტროლსდაქვემდებარებული განიარაღებისაკენ.

საქართველოს მშრომელები მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველა ქვეყნის კეთილი ნების ყველა ადამიანთან ერთად განაგრძონ ბრძოლა ატომური სიკვდილის საფრთხის თავიდან აცილებისათვის.

დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა! — ასეთია ჩვენი პლანეტის მშვიდობისმოყვარე ადამიანთა ნება.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო

მეშვიდობის პროგრესის მოციქული

ტოკიო, 22 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბირიუკოვი იუწყება: იაპონიაში პირველი საბჭოთა კოსმონავტის მაიორ იური გაგარინის ვიზიტი იაპონიის საზოგადოებრივობის ყურადღების ცენტრშია. გაზეთები უხვად აქვეყნებენ ფოტოსურათებსა და ცნობებს იაპონიის დედაქალაქში გაგარინის ყოფნის შესახებ, რადიოთი და ტელევიზიით გადასცემენ პრეს-კონფერენციის მასალებს, ანგარიშს იაპონიის სახელმწიფო, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან კოსმონავტის შეხვედრების შესახებ. ყველგან გაგარინზე ლაპარაკობენ. ყველგან მსჯელობენ მისი გამოთქმების გამო საბჭოთა ქვეყნის მეცნიერულ მიღწევათა შესახებ კოსმოსის განვითარებაში, მის სურვილს, რომ საელმწიფოებმა დაამყარონ ფართო მშვიდობიანი თანამშრომლობა.

დღევანდელი დილის გამოშვებაში გაზეთები მეტად კეთილმოსურნეობითი ტონით იუწყებიან, რომ გაგარინი შეხვდა პრემიერ ტოკიო, 22 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბირიუკოვი იუწყება: იაპონიაში პირველი საბჭოთა კოსმონავტის მაიორ იური გაგარინის ვიზიტი იაპონიის საზოგადოებრივობის ყურადღების ცენტრშია. გაზეთები უხვად აქვეყნებენ ფოტოსურათებსა და ცნობებს იაპონიის დედაქალაქში გაგარინის ყოფნის შესახებ, რადიოთი და ტელევიზიით გადასცემენ პრეს-კონფერენციის მასალებს, ანგარიშს იაპონიის სახელმწიფო, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან კოსმონავტის შეხვედრების შესახებ. ყველგან გაგარინზე ლაპარაკობენ. ყველგან მსჯელობენ მისი გამოთქმების გამო საბჭოთა ქვეყნის მეცნიერულ მიღწევათა შესახებ კოსმოსის განვითარებაში, მის სურვილს, რომ საელმწიფოებმა დაამყარონ ფართო მშვიდობიანი თანამშრომლობა.

ტოკიო, 23 მაისი. (საკდესი). დაახლოებით 15 ათასმა იაპონელმა სტუდენტმა შოისმინა დღეს საბჭოთა კოსმონავტი მფრინავის ი. ა. გაგარინის ლექცია. დიდი ხნიო ადრე გაგარინის მოსვლამდე იაპონიის უძველესი უნივერსიტეტის „ვასედას“ სასპორტო დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი.

„ვასედას“ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და სტუდენტთა სახელით საბჭოთა კოსმონავტს გულთბილად მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ბატონი ოხამა.

შემდეგ ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ნაკატანიმ სიტყვა მისცა საბჭოთა კოსმონავტს. უზარმაზარი დარბაზი ტაშის გრიალმა შეარყია. ი. ა. გაგარინმა დაიწყო ლექცია. მქუხარე ტაში. გაისმა, როცა საბჭოთა კოსმონავტმა ლექციის დასასრულს თქვა: საერთაშორისო თანამშრომლობის იდეა კოსმოსის ათვისებაში, სავსებით შეიძლება განხორციელდეს. მაგრამ კაცობრიობის წინაშე დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანა — გადაჭრას უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემები დედამიწაზე და შექმნას საჭირო პირობები — რათა აყვავდეს მეცნიერება და ტექნიკა მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის გმირის, კოსმონავტი მფრინავის ი. ა. გაგარინის პატივსაცემად სტუდენტებმა შეასრულეს უნივერსიტეტის ჰიმნი.

უნივერსიტეტში ყოფნის შემდეგ გაიმართა ი. ა. გაგარინის გულთბილი შეხვედრა იაპონელ მოსწავლეებთან.

* * *

სურათზე: ტოკიოს აეროპორტ ხანედაში შეხვედრის დროს.

ფოტო ჯაპან პრეს — საკდესისა. (სურათი მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

მთავარია დაძაბულობის შენელება

საბჭოთა კავშირის წინადადებანი

ჟენევა, 22 მაისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ა. კისლოვი იუწყება:

დღეს ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ შეიკრიბა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ხელისშემწყობ ღონისძიებათა კომიტეტი, რომელიც 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტმა შექმნა განიარაღების შესახებ ენევის თათბირის მონაწილე ყველა ქვეყნის წარმომადგენლთაგან. კომიტეტის დღევანდელმა სხდომამ განიხილა კომიტეტის შემდგომი მუშაობის დღის წესრიგი. კომიტეტის განსახილველად ამ საკითხის გატანა იმიტომ გახდა საჭირო, რომ მისი დღის წესრიგის ერთადერთი შეთანხმებული პუნქტი — ომის პროპაგანდის შეწყვეტის საკითხი—უკვე განხილულია და მუშაობა ომის პროპაგანდის აკრძალვის დეკლარაციაზე მთავრდება, ხოლო რაც შეეხება იმ საკითხთა განხილვის შემდგომ რიგისობას, რომლებიც ეხება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებებს და რომლებიც წამოაყენეს საბჭოთა კავშირმა და შეერთებულმა შტატებმა, ამ საკითხზე თავმჯდომარეებმა — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა — შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

დღევანდელ სხდომაზე კამაოში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, იტალიის, რუმინეთის, შვეიცის, ჩეხოსლოვაკიის, ხოდოეთისა და კანადის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის პოზიცია კომიტეტის შემდგომი მუშაობის შესახებ:

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტმა, განაცხადა მან, რომელიც ძირითად ამოცანად ისახავს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ხელშეკრულების შემუშავებას, ამასთანავე ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა განსახორციელებლად მოამზადოს აგრეთვე ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ არსებული საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და შეთანხმების მიღწევას განიარაღების საკითხებზე.

ამის მიხედვით სსრ კავშირის დელეგაცია კომიტეტში პირველ რიგში განსახილველად აყენებს შემდეგ სამ საკითხს:

ა) ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებანი,

ბ) მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში უატომო ზონების შექმნა და

გ) ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადება.

ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა საკითხი, განაგრძო საბჭოთა წარმომადგენელმა, მომწოდა და დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ მსოფლიო ამჟამად დგას მასობრივი მოსპობის საშინელი ძალის იარაღის—ატომური იარაღის სწრაფი განვითარების, სრულყოფისა და ფართო გავრცელების ფაქტის წინაშე. დღეს ეს იარაღი აქვს ოთხ სახელმწიფოს. ხვალ შეიძლება ჰქონდეთ და კიდევაც ექნებათ სხვა ქვეყნებს.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ 18 სახელმწიფოს კომიტეტი დაუყოვნებლივ შეუდგეს საეთაოოოისო ეთაოოძეეის შეეუოავებას, რომელიც, ჩვეი აზოით, უადა ითვალისწინეიდეს ატომური სახელმწიფოეიის ვალდებულებასა — არ გადასცეს ატომური იაოაღი სხვა ქვეყნებს, ხოლო სახელმწიფოებმა, ოომლეეიაც არა აქვთ ატოოური იაოაღი, არ უადა აწარმოოონ აეეთი იაოაღი და არ ბეიძინონ ატომური სახელმწიფოებისაგან.

იმ საკითხთა რიცხვს, რომელთა პირველ რიგში განხილვა საჭიროდ მიაჩნია საბჭოთა დელეგაციამ განაგოძო მან, ეკუთვნის აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ მთელ ასოფლიოში შეიკრძალოს ატომური და თერმოატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონები, რაც ხელს ეუშლის ძასობრივი მოსპობის ამ იარაღის ბემდგომ გავრცელებას.

ვ. ა. ზორინმა აღიშნა, რომ ამჟამად, ეტყობა, ჯერ კიდევ არ მომწიფებულა პირობები, რომ გაუქმდეს ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებანი, დაიშალოს არსებული სამხედრო კავშირები. საჭიროა, განაგრძო მან, უფრო რეალურად მივუდგეთ არსებული საერთაშორისო დაძაბულობის აღმოფხვრის საკითხს და იმას, რომ აღმოიფხვრას თვით ის ფაქტის უარყოფითი გავლენა საერთაშორისო ცხოვრებაზე, რომ არსებობენ ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებანი.

საბჭოთა მთავრობამ, რომელიც სწორედ ამ მიზნით ხელმძღვანელობს, წამოაყენა წინადადება, რომ თავდაუსხმელობის პაქტი დაიდოს ამჟამად არსებულ კავშირებს — ნატოს და ვარშავის ხელშეკრულებას შორის.

საბჭოთა დელეგაციას, ხაზი გაუსვა დასასრულ ვ. ა. ზორინმა, მიაჩნია, რომ ჩვენ მიერ დასახელებული სამი საკითხის და პირველ რიგში, ატომური იარაღის გავრცელების თავიდან აცილების ღონისძიებათა საკითხის განხილვა, საარსებო და შედარებით ადვილად განსახორციელებელი ამოცანაა. დელეგაციას მიაჩნია, რომ კომიტეტის მიერ ამ საკითხთა განხილვას უნდა მოჰყვეს დადებით გადაწყვეტილებათა მიღება. ასეთი გადაწყვეტილებანი დიდ გავლენას მოახდენენ საერთაშორისო ცხოვრების ახლანდელ ვითარებაზე და ხელს შეუწყობენ იმას, რომ კომიტეტმა წარმატებით იმუშაოს ძირითადი ამოცანის გადაწყვეტაზე, რომელიც დასახულია ჩვენს წინაშე, სახელდობრ საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების მომზადების ამოცანაზე.

შემდეგ გამოვიდა იტალიის დელეგატი, რომელმაც მოლიანად დაუჭირა მხარი ამერიკის წინადადებებს და შეეცადა დაებრალებინა საბჭოთა დელეგაციისათვის ის, რომ საბჭოთა დელეგაცია თითქოს „ბოკავდეს“ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ხელისშემწყობ ღონისძიებათა კომიტეტის მუშაობას.

დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის უნიადაგობა მთლიანად გამოაშკარავდა რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა განცხადებებში. მათ ხაზი გაუსვეს, რომ კომიტეტის მუშაობის დღის წესრიგის განსაზღვრისას საჭიროა იხელმძღვანელონ არა ფორმალური კრიტერიუმებით, არამედ საკითხთა არსით, იმით, თუ რამდენად შეესაბამება ეს საკითხები მუშაობის შეთანხმებულ პროცედურას და რამდენად მომწიფებულია მათი გადაჭრა.

ინდოეთის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ნეიტრალისტური ქვეყნების წარმომადგენლები, ისევე როგორც საბჭოთა დელეგაცია, მზად არიან პირველ ადგილზე დააყენონ ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა საკითხი.

კანადის წარმომადგენლის წინადადებით საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ხელის შემწყობ ღონისძიებათა კომიტეტის დღის წესრიგის განხილვა გაგრძელდება კომიტეტის 23 მაისის სხდომაზე.

ბრაზილიაში გამოიცა სკკპ პროგრამა

რიო-დე-ჟანეიროს, 21 მაისი. (საკდესი). ბრაზილიის გამომცემლობა „ვიტორიამ“ ცალკე ბროშურად გამოუშვა პორტუგალიურ ენაზე სკკპ ახალი პროგრამა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ XXII ყრილობაზე პარტიის პროგრამის შესახებ.

ოპოზიციის ერთიანობისათვის

ესპანეთის კომუნისტური პარტიის მანიფესტი

პარიზი, 23 მაისი. (საკდესი). „კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ საგაფიცვო მოძრაობის განვითარების პერსპექტივა ფრანკოს საწინააღმდეგო ოპოზიციის მთელი პოლიტიკური ძალების წინაშე აყენებს ამოცანას, რომ ფრანკოს რეჟიმის შეცვლის მიზნით ერთად, სასწრაფოდ შეიმუშაონ დემოკრატიული გადაწყვეტილება, რომელიც ნამდვილად გამოხატავს ხალხის ნებას. ამ მიზნით იგი სთავაზობს მათ ლოიალურ თანამშრომლობას“.

როგორც ფრანს პრესის საგენტო მადრიდიდან იუწყება, ამ სიტყვებით მთავრდება მანიფესტი, რომელიც გუშინ გავრცელა იქ ესპანეთის კომუნისტურმა პარტიამ.

კომუნისტური პარტია აღნიშნავს, რომ დღეს მთელ ესპანეთს მოედო ბრძოლა ხელფასის გადიდებისა და დემოკრატიული თავისუფლებებისათვის.

„მუშათა კლასის მხარდამხარ, რომლის ბრძოლით გადამწყვეტი ეტაპი იწყება ფრანკოს დიქტატურის ლიკვიდაციის გზაზე, — ნათქვამია მანიფესტში, — გამოდიან ინტელიგენცია, სტუდენტები, ქალები, რომლებიც პროტესტებს აცხადებენ და სოლიდარობას გამოხატავენ, რაც ხაზს უსვამს ამჟამად მიმდინარე მოძრაობის ძალასა და სიღრმეს, მის სოციალურ მასშტაბსა და ეროვნულ საფუძველს, რომელსაც იგი ეყრდნობა.

ახლა მიმდინარე ბრძოლამ საშუალება მისცა მშრომელებს შეიგონონ თავიანთი საკუთარი ძალა და გამოავლინა დიქტატურის სისუსტე და მისი პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტრუქტურის გახრწნა“...

შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით აღნიშნულია ესპანეთის კომუნისტური პარტიის მანიფესტში, „ფრანკოს საწინააღმდეგო ოპოზიციის მთელმა ძალებმა გადაჭრით და ენერგიულად უნდა შეასრულონ თავიანთი ისტორიული ამოცანა, შეათანხმონ თავიანთი მოქმედება და დაამყარონ საჭირო ერთობა, რომელიც გაძლიერებს მასების ინიციატივასა და მათ საბრძოლო სულისკვეთებას“.

პარტიას მიაჩნია, რომ ახლა არის პირობები, რათა ფრანკოს საწინააღმდეგო მოძრაობა გახდეს საერთო, იმ გზით, რომ გამოიყენონ მასობრივი ბრძოლის ყველა ფორმა — დაწყებული მუშაობის შენელებითა და გაფიცვებით და დამთავრებული ქუჩის დემონსტრაციებით, „რათა მოეწყოს საერთო ეროვნული გაფიცვა ფრანკოს საწინააღმდეგო ოპოზიციის მთელი ძალების ხელმძღვანელობით“.

ადენაუერი: „მე გერმანიის საზავო მოწესრიგების ვერავითარ შესაძლებლობას ვერ ვხედავ. თვალწინ სხვა მიზანი მაქვს“.

კარიკატურა გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდიდან“, ბერლინი.

ტელეგრაფი გვაცნობებს

☐ **რიო-დე-ჟანეიროს ორ უდიდეს კინოთეატრში — „პაისანდუსა“ და „პარიზში“ დაიწყო საბჭოთა ფილმების ფესტივალი. უდიდესი წარმატებით ჩაიარა საბჭოთა ფილმების ფესტივალმა ბრაზილიის უდიდეს სამრეწველო ცენტრში — ქალაქ სან-პაულოში.**

☐ **„მშვიდობის დაცვის ლეიბორისტული ამხანაგობის“ ეროვნულმა საბჭომ დაგმო ლეიბორისტული პარტიის ეროვნული აღმასკომის ის გადაწყვეტილება, რომ პარტიიდან გაირიცხონ საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო მოსკოვის კონგრესის მომხრენი, კერძოდ, „100-ის კომიტეტის“ პრეზიდენტი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი, „ატომური განიარაღებისათვის მოძრაობის“ აღმასკომის თავმჯდომარე, კანონიკი ჯონ კოლინზი, ლორდი ჩორლი და ბარბარა ვუტონი, თუ ისინი უარს არ იტყვიან კონგრესის მხარდაჭერაზე. რეზოლუციის ავტორები მოუწოდებენ ლეიბორისტული პარტიის ეროვნულ აღმასკომს ხელი აიღოს თავის მუქარაზე.**

☐ **ვარშავაში ხელი მოაწერეს პოლონეთისა და ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიების მეცნიერული თანამშრომლობის გეგმას 1962 წლისათვის.**

☐ **იულიხის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), რაიონში ჩამოვარდა და აფეთქდა დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებელი. პილოტმა თავს უშველა პარაშუტით.**

☐ **ტოკიოდან იუწყებიან: ბატისკაფმა „არქიმედმა“ წარმატებით განახორციელა პირველი საშინჯი ჩაყვინთვა იაპონიის ზღვაში 4.800 მეტრ სიღრმეზე. ოპერაციას მეთაურობდა ბატისკაფის კაპიტანი ფრანგი ჟორჟ უო. უნდა განახორციელონ 10 ჩაყვინთვა იაპონიის ზღვის გამოკვლევის პროგრამის შესაბამისად, რომელსაც ერთად ასრულებენ იაპონია და საფრანგეთი.**

ჟორჟ უოს განზრახული აქვს ჩაყვინთოს 10 ათას მეტრ სიღრმეზე. (საკდესი).

მდგომარეობა ეკვადორში

გუაიაკილი, 23 მაისი. (საკდესი). მთავრობის კრიზისი, რომელიც ამ დღეებში დაიწყო ეკვადორში, ფაქტიურად გადაჭრა პრეზიდენტმა აროსემენამ და, როგორც აქ მიაჩნიათ, მთავრობამ მტკიცედ დაიკავა მემარჯვენე პუტჩისტთა წინააღმდეგ ბრძოლის პოზიცია. ამჟამად ეკვადორის საზოგადოებრიობა განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენს მუნიციპალური და საპარლამენტო არჩევნებისადმი, რომელიც მთელი ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გაიმართება 3 ივნისს.

ავსტრალია — ტაილანდს

ლონდონი, 23 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ბანგკოკიდან იუწყება, ტაილანდის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ტაილანდში განლაგებულ იქნება ავსტრალიის შეიარაღებული ძალების კონტინგენტი.

ამ ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც ტაილანდის რადიომ გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ ამჟამად წარმოებს კონსულტაციები „ზოგიერთ სხვა ქვეყანასთანაც“ მათი შეიარაღებული ძალების განლაგების შესახებ ტაილანდში.

კანბერის ავტორიტეტულ წრეებში განაცხადეს, რომ ავსტრალია ტაილანდში გაგზავნის რეაქტიული თვითმფრინავების „სეიბრის“ ესკადრილიას და 150 სამხედრო მოსამსახურეს, რომლებიც ამჟამად მალაიაში იმყოფებიან.

„უკანასკნელ საათს“

შტრაუსი მოითხოვს ატომურ ბომბვებს

ბონი, 23 მაისი. (საკდესი). 500 ათას კაცამდე დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის რაოდენობის გადიდების გეგმები, რაც ამ დღეებში გამოაცხადა ბონის თავდაცვის მინისტრმა შტრაუსმა, ხორციელდება. დასავლეთ გერმანიის პრესა დღეს იუწყება, რომ მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის ბუნდესვერში გაწეულია რაოდენობა გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე წინა წლებში იყო.

ამავე დროს, როგორც გაზეთი „დი ველტ“ აღნიშნავს, შტრაუსმა კვლავ მოითხოვა გადასცენ ბუნდესვერს ატომური იარაღი. იგი გაიძახოდა „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ და განაცხადა, რომ ბუნდესვერის აღჭურვა ტაქტიკური ატომური იარაღით „გარდაუვალია“.

სახიფათო გადაწყვეტილება

ლონდონი, 23 მაისი. (საკდესი). ახალი ზელანდიის მთავრობამ გადაწყვიტა გაგზავნოს თავისი ჯარები ტაილანდში. როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება ველინგტონიდან, ეს გაანაცხადა დღეს ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა კეიტ ჰოლიოუმმ.

სამხედრო ნაწილი, რომელიც ტაილანდში გაიგზავნება, დაკომპლექტდება შეიარაღებული ძალების სამი სახეობის პერსონალით.

ამერიკელი ქალები

ამერიკელ ქალებს ეკამათებიან ინდონეზიელ ქალებს ნიუ-გვინეაში.

ამერიკელ ქალებს ეკამათებიან ინდონეზიელ ქალებს ნიუ-გვინეაში.

ამერიკელ ქალებს ეკამათებიან ინდონეზიელ ქალებს ნიუ-გვინეაში.

გაფიცვები გრძელდება

ინგლისი დაახლოებით ერთი კვირაა გრძელდება „ბრიტიშ მოტორ კორპორეიშენის“ ფირმის ბირმინჰემის ტრაქტორსაშენებელი ქარხნის ელექტროტექნიკოსთა გაფიცვა, რომლებიც ხელფასის გადიდებას მოითხოვენ. გაფიცვამ ჩაკლა წარმოება ფირმის მთელ რიგ სხვა ქარხნებში, რომლებსაც ეს ქარხანა დეტალებს აწვდის. ლონგბრიჯის (ბირმინჰემი) ქარხანაში წარმოების შემცირების შედეგად 4.600 მუშა დაითხოვეს.

იაპონია მსხვილი კინოკომპანიის „დაიეის“ მუშაკთა პროფკავშირი 24 საათის გაფიცვას აწყობს ხელფასის გადიდებისათვის. კომპანიის მუშაკები მოითხოვენ, რომ ადმინისტრაციამ გაადიდოს ხელფასი. გაფიცვა მოედო კომპ

დანაშაული და სასჯელი

ისინი, ვისაც ეს წერილი ეხება, მკაცრად არიან მსჯავრდადებულნი, იმდენად მკაცრად, რომ მათთვის უკვე მნიშვნელობა არა აქვს, რას ვიტყვით და რას დავწერთ მათზე: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მალაქია ბესარიონის-ძე ჭანიას და მიხეილ გიორგის-ძე მახარაშვილს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

სამგალეროდ ფართო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ეს ფაქტი სწორედ იმტომ, რომ მართლმსაჯულებამ მ. ჭანიას და მ. მახარაშვილის მოქმედება საზოგადოებრივად საშიშ, მძიმე დანაშაულად მიიჩნია და იძულებული გახდა მათთვის სიკვდილი მიესაჯა. ეს ფაქტი განსაკუთრებით საყურადღებო უნდა იყოს მსჯავრდადებულთა ნაცნობებისათვის, ყველა იმათთვის, ვის თვალწინაც ეს დანაშაულობანი ხდებოდა, მაგრამ ვერავინ ვერ გამოიჩინა იმდენი გამბედაობა, რომ ჩასწვდომოდა ბოროტმოქმედებას და დროზე აეცდინა მსჯავრდადებულნი საშიშ დანაშაულებათა გზისათვის.

მ. მახარაშვილისა და მ. ჭანიას სიკვდილი მიესაჯათ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96 მუხლით. — როგორც ერთს, ისე მეორეს დაუდასტურდათ სახელმწიფო თანხების განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მითვისება.

ვინ არიან ისინი? როგორ გადაიქცნენ ეს ადამიანები საზოგადოებისათვის საშიშ, მავნე ელემენტებად?

მიხეილ გიორგის-ძე მახარაშვილი დაბადებულია 1909 წელს. იგი, საშუალო განათლებით არის, სპეციალობით ბუხგალტერია, ცოლშვილიანი. მან ადრე შედგა ფეხი ცხოვრების წუმპეში და 27 წლის განმავლობაში ვერ იქნა და ვერ გამოვიდა იქიდან. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა — 25 წლის იყო, როდესაც 1934 წელს პირველად იქნა მიცემული სამართალში და მსჯავრდადებულ იქნა სახელმწიფო ქონების მითვისებისათვის.

ეს სასჯელი ჯერ არც კი ჰქონდა მოხდილი, რომ 1935 წლის აგვისტოში სხვებთან ერთად მოიპარა ქ. თბილისის პროკურორის მრგვალი ბეჭედი, შეადგინა ყალბი საბუთები, სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მიიღო ფასეულობანი და მითვისა, რისთვისაც კვლავ დაეპატიმრეს და გაასამართლეს.

სასჯელის მოხდის დროს მუშაობდა ბუხგალტრად. აქ ფიქტიური საბუთები შეადგინა პროდუქტების ჩამოსაწერად, რისთვისაც სასამართლოს 1947 წლის 9-12 მარტს განაჩენით ისევ მსჯავრდადებულ იქნა.

ასეთი რთული და ფათერაკებით სავსე თავგადასავლის მქონე კაცმა 1958 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში მთავარი ბუხგალტრის თანამდებობაზე. შვიდჯერ ნასამართლევი, კაცი, რომელსაც პროფესიად, ავადმყოფური ჩვევად და მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული ყალბისმქნელობა, სახელმწიფო ქონების ქურდობა და დატაცება, ყოველგვარი კონტროლისა და წინასწარი შემოწმების გარეშე ასეთ მსხვილ ორგანიზაციაში მთავარ ბუხგალტრად მიიღეს და მატერიალური პასუხისმგებლობა დააკისრეს — ასეული ათასები ჩაბარეს.

მგელი რა მგელი იქნებოდა, თუ მას ცხვრის ფარას ჩაბარებენ და უვნებელს დატოვებს. მ. მახარაშვილიც მაშინვე შეუდგა თავის ბნელ საქმეს, სხვადასხვა კომბინაციების გზით თანხების მითვისებას. აგვისტოში სამუშაოზე მიიღეს, ნოემბერში კი უკვე საკმაოდ დიდი თანხა ჰქონდა მითვისებული. აქედან მოკიდებული იგი თითქმის მთელი სამი წლის განმავლობაში, ისე ურევდა ხელს სახელმწიფო თანხებში, როგორც საკუთარ ჯიბეში.

ამ ხნის განმავლობაში შეუმჩნეველი დარჩა მისი ბნელი საქმიანობა. მხოლოდ 1961 წლის მარტში მიღებული სიგნალების საფუძველზე საქართველოს სსრ მშენებლობის და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის, ბ. მეფარიშვილის ინიციატივითა და მონაწილეობით გამორკვეულ იქნა, რომ 1960 წლის მანძილზე საკურორტო სამმართველოს კანტორიდან მახარაშვილის მიერ მიღებული 114.385 მანეთად ღირებული საგზურები შემოსავალში არ იყო გატარებული. მეფარიშვილმა მასალები გადასცა პროკურატურას და მოითხოვა მახარაშვილის დასატიმრება და პასუხისგებაში მიცემა. ამის შემდეგ ჩატარებულ იქნა დოკუმენტალური რევიზია, აგრეთვე საბუხგალტრო ექსპერტიზა და საბოლოოდ დადგენილ და გამორკვეულ იქნა მ. მახარაშვილისა და სხვათა დანაშაულებრივი საქმიანობა.

ჩადენილი დანაშაულის მიჩქმალვას მახარაშვილი ახერხებდა ბუხგალტრულ საბუთებში სიყალბეების შეტანით. ამ გზით იგი სისტემატურად ითვისებდა დიდ სახელმწიფო თანხებს და ფასეულობებს, ვიდრე დანაშაულზე არ წაასწრეს.

* * *

მალაქია ბესარიონის-ძე ჭანიას ბიოგრაფია მ. მახარაშვილის ბიოგრაფიასთან შედარებით ღარიბია დანაშაულებრივი თავგადასავლებით.

იგი სკკპ წევრი იყო. ორმოცდახუთი წელი ისე იცხოვრა ამ კაცმა, რომ რაიმე დანაშაულობაში შემჩნეული არ ყოფილა, პატიოსანი შრომით ცხოვრობდა. ამ სამი წლის წინათ მან მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატაეცილების მთავარი სამმართველოს № 16 საგზაო-საექსპლოატაციო უბანში (ზუგდიდში) მოლარემოანგარიშედ. აქ მან უბნის უფროს ბუხგალტერთან, აწ გარდაცვლილ ხ. ანჯაფარიძესთან ერთად ხელი მოჰკიდა დანაშაულებრივ საქმიანობას — ბუხგალტერთან ერთად ორი წლის განმავლობაში მან მითვისა 230.868 მანეთი სახელმწიფო თანხები (ფულის ახალი მასშტაბით). მ. ჭანიას, როგორც მოლარეს, ბანკიდან გამოჰქონდა თანხები და ანჯაფარიძესთან შეთანხმებით შემოსავალში ატარებდა ნაკლებს. სხვაობას ითვისებდა ორივე. ამ გზით მ. ჭანიამ და ხ. ანჯაფარიძემ სახელმწიფო ბანკის ზუგდიდის განყოფილებიდან 39-ჯერ გამოიტანეს და მითვისეს დიდი თანხები. დამნაშავენი იმით სარგებლობდნენ, რომ გზატაეცილების მთავარი სამმართველო და სახელმწიფო ბანკის ზუგდიდის განყოფილება სათანადო კონტროლს არ უწევდნენ მეთექვსმეტე საგზაო-საექსპლოატაციო უბანს.

ბოლოს გზატაეცილების მთავარი სამმართველოს საფინანსო განყოფილების მიერ ჩატარებული დოკუმენტალური რევიზიის შედეგად გამოვლინებულ იქნა განსაკუთრებით დიდი თანხების გაფლანგვა-მითვისების ფაქტები. მ. ჭანია და ხ. ანჯაფარიძე შეეცადნენ დაეფარათ დანაშაულის კვალი, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელი იყო...

როგორც მ. მახარაშვილმა, ისე მ. ჭანიამ ჩაიდინეს საზოგადოებრივად მძიმე, საშიში დანაშაული, რასაც მოჰყვა მეტად არასასიამოვნო შედეგი: სიკვდილი მიესაჯა ორ ადამიანს, ორ მოქალაქეს.

ცხადია, ისინი ვერ შეძლებდნენ დასდგომოდნენ ბოროტმოქმედების გზას და ამდენ ზიანს ვერ მიაყენებდნენ საზოგადოებასა და სახელმწიფოს, რომ იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, თანამდებობის პირებს, რომლებსაც სამსახურებრივი, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ დამნაშავეებთან, არ გამოეჩინათ ბედოვლათობა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი ზერელე, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ. თავის გამსვლელ სხდომებზე მთავარ დამნაშავეებთან ერთად სათანადო მოუზღო იმათ, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეუწყვეს ხელი მ. მახარაშვილსა და მ. ჭანიას მძიმე დანაშაულის ჩადენაში.

მაგრამ არის კიდევ ერთი ჯგუფი ადამიანებისა, რომლებსაც შეუძლებელია გვერდი ავუაროთ. მართალია, მათ კანონი არა სჯის, მაგრამ თუ მათ ადამიანის გული და გრძნობა, გონივრული მსჯელობის უნარი აქვთ, სულიერად და მორალურად ისინიც დასჯილნი არიან. ესენი გახლავთ დასახელებულ ბოროტმოქმედთა ახლობლები, ნათესავები, ამხანაგები და მეგობრები. ისინიც დასჯილნ არიან: მათ ხომ მეუღლე, ძმა, ახლობელი ადამიანი დაკარგეს! და განა მათ არ მიუძღვით ბრალი იმაში, რომ ასეთი საკვალალო ფაქტი მოხდა? რა თქმა უნდა, ბრალი მიუძღვით. ნუთუ ამ ბოროტმოქმედთა ახლობლები ვერ ხედავდნენ, რომ ისინი უფრო ხელგაშლილად ცხოვრობენენ, უფრო გულუხვად უმასპინძლდებოდნენ სტუმარს, მტერს და მოყვარეს, ვიდრე ეს მათს ხელფასსა და შრომის საზღაურს შეეფერებოდა. რატომ არ დაუკვირდნენ, რატომ დროზე არ შენიშნეს ეს. რატომ ერთხელ მაინც არ იკითხეს, საიდან ჰქონდათ მ. მახარაშვილსა და მ. ჭანიას ამდენი ფული. ახლობლები, რომლებიც მათ გვერდით ცხოვრობდნენ, კარგად იცნობდნენ მათ და იცოდნენ მათი შემოსავალი. დროზე რომ შეენიშნათ და მიეღოთ გადამჭრელი ზომები, იქნებ აეცდინათ ისინი მძიმე დანაშაულისაგან.

ახლა კი უკვე გვიან არის. მაგრამ იქნებ სხვებისათვის არ იყოს გვიან, ღრმად ჩაუფიქრდნენ ამ ფაქტს; რატომ უნდა დაველოდოთ იმას, რომ ადამიანმა, რომელიც იმაზე მეტს მოითხოვს ცხოვრებისაგან, ვიდრე თავისი პატიოსანი შრომით აძლევს საზოგადოებას, მძიმე დანაშაული ჩაიდინოს. ხომ დროზე შეგვიძლია ავაცდინოთ იგი ცუდ გზას.

მ. მიქაძე,
რ. დვალიშვილი.

ზ.ს. გიწკინაშვილი— ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა ზალარია სოლომონის-ძე ბიწკინაშვილმა მოსკოვის ავტომაგზაო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე:

„გზების შავი საფარების მუშაობის უნარიანობა და მისი განვითარების საშუალებები“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ზალარია სოლომონის-ძე ბიწკინაშვილისათვის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

მოკლედ ყველაფერზე

☐ ჭიათურა. (საკ. კორ.). აქ მოეწყო პენსიონერთა საქალაქო შეკრება. პენსიონერთა საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის მნიშვნელობაზე ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის ქალაქკომის პირველმა მდივანმა ამხ. ზ. პატარიძემ. არჩეულ იქნა პენსიონერთა საბჭო 15 კაცის შემადგენლობით.

☐ ხაშური. დამსვენებელთა უკეთ მომსახურებისათვის ხურამში თვალსაჩინო ღონისძიებები ტარდება. გაფართოვდა სავაჭრო ქსელი, გაიხსნა ახალი მაღაზიები, კეთილმოწყობილ იქნა რესტორანი, აშენებულია ახალი მაცივარი 50 ტონა პროდუქტების ტევადობისა.

დ. ფარემუზოვი.

☐ წითელწყაროს. ამ დღეებში დამთავრდა ორი წისქვილის ვალცების დამონტაჟება, რომელთა წარმადობა დღეში 50 ტონა მარცვლეული იქნება. განზრახულია ამ თვის ბოლოსათვის წისქვილები საექსპლოატაციოდ გადაეცეს. ისინი მოემსახურებიან წითელწყაროს, აგრეთვე სიღნაღის, ლაგოდეხისა და კახეთის სხვა რაიონებს.

გ. კაკალაშვილი.



მოდით, ნახეთ „მოდინახე“

აკაკის სამშობლო სხვიტორიდან კარგად მოჩანს ქედმოუხრელი ციხე „მოდინახე“. ვინ იცის რამდენჯერ დამტკბარა დიდი პოეტი ციხის ცქერით და რამდენ ლექსში ჩაუქსოვია მისი მშვენიერება.

საუკუნეებმა გაიქროლეს „მოდინახეს“ თავზე, მაგრამ მნახველს იგი ხიბლავს, თავისი სილამაზითა და გამძლეობით. აქამდე ბევრს არ შეეძლო მისი ნახვა, რადგან არ იყო სამანქანო გზა. და აი საჩხერის რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს სოფელ დუნთიდან და ბაჯითიდან გზის გაყვანა.

მალე აგუგუნდნენ ტრაქტორები, ბულდოზერები... დატრიალდნენ შრომისმოყვარე ეაქაცები. ძალა არ დაზოგეს ტექნიკურმა ხელმძღვანელებმა გ. კაპანაძემ, გზის ოსტატმა ს. სიესიეაძემ, გრეიდერისტმა შ. მღებრიშვილმა და სხვებმა. სულ მოკლე ხანში გაიკრა ხუთი კილომეტრი სიგრძის კეთილმოწყობილი გზატაეცილი. ახლა ყველა მსურველს შეუძლია დაათვალიეროს ისტორიული ძეგლი. მოდინახეს ხშირი სტუმრები ყრიან ექსკურსანტები ტყიბულიდან, ჭიათურიდან, ქუთაისიდან და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ადგილებიდან...

ა. ანასაშვილი.

* * *

სურათზე: ციხე მოდინახე.

ტურისტული გაზეთი თვლეგზე

მოსკოვიდან გადის უჩვეულო მატარებელი, რომლის თხუთმეტ ვაგონს აწერია: „ტურისტული. მოსკოვი - როსტოვი — მინწყლები - ბაკო - თბილისი - ბათუმი - სოხუმი - სოჭი - როსტოვი - მოსკოვი“. 400 ტურისტი მეეძგზავრება „ყველაზე ლურჯ შავი ზღვისაკენ“. ჩაჯდები მატარებელში, ლიანდაგზე მოწყობილ ამ თავისებურ დასასვენებელ სახლში და ოციოდე დღეში შემოიცვლი ჩვენი ქვეყნის თითქმის ნახევარს.

სარკინიგზო ტურიზმი დასვენების ახალი სახეა საბჭოთა კავშირში. მაგრამ მან უკვე მოიპოვა პოპულარობა. და თუ წინათ ტურისტული მატარებლები უპირატესად ამერიკაკანადის რესპუბლიკებში დადიოდნენ, ახლა ისინი თხუთმეტი მარშრუტით ივლიან. გარდა ძველი წრიული მარშრუტისა — როსტოვი, მინწყლები, ბაკო და თბილისი, შავ ზღვაზე მოხეედრა შეიძლება ახალი გზით იმერკარპატეთის მხრიდან. იგი გადის მოსკოვიდან კიევში, იქიდან ლვოვში „უგბოროდსა და ფოკაჩევოში. მოგზაურები გაიცლიან ვერხოვინას, გაეცნობიან მთიან ადარკაკებს, ეწვევიან მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვს, ოდესას. შემდეგ კი მატარებელი სევასტოპოლისა და ფეოდოსიის გავლით მათ ჩაიყვანს ყირიმში.

არანაკლებ საინტერესოა მეორე — ბალტიისპირეთის მარშრუტი. იგი გადის ტრასით მოსკოვი-სმოლენსკი-მინსკი-ვილნიუსი-დაუგავარიგა - ტალინი-ლენინგრადი - ზელენოგორსკი - ვიბორგი-მოსკოვი. ამ მოგზაურობათა გარდა, რომლებსაც აწყობს მოსკოვის ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველო, საინტერესო მოგზაურობას მოაწყობენ სხვა ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოებიც.

ივნისის შუა რიცხვებში ელინოგორადიდან ამერკაკავასიაში სამოგზაურო გავა მატარებელი „ახალგაზრდა ყამირელი“, რომელიც წაიყვანს რამდენიმე ასეულ ყამირელ ქალიშვილსა და ჭაბუკს. ისინი გაატარებენ თავიანთ შვებულებას ლიანდაგზე მოწყობილ დასასვენებელ სახლში, რომლის გზის უმეტესი ნაწილი შავი ზღვის სანაპიროზე გადის.

კავკასიის მარშრუტით მშობლიურ მხარეში მოგზაურობის მოყვარულთა ოთხ ჯგუფს გაგზავნის ლენინგრადის ტურიზმის ბიურო. ყირიმში, კიევში, ლენინგრადში, ვიბორგსა და მოსკოვში ჩავლენ მგზავრები ტურისტული მატარებლისა, რომელიც სტავროპოლიდან გაემგზავრება.

ინტერესი სარკინიგზო ტურიზმისადმი სულ უფრო იზრდება.

საგენტო „ახალი ამბები“.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები მოწინავე მუშაკებს

დაწესებულებათა პროფკავშირმა და საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველომ შეაჯამეს შემნახველი სალაროების 1962 წლის პირველი კვარტალის მუშაობის შედეგები და ფულადი პრემიები მიაკუთვნა ცენტრალური და ძირეული შემნახველი სალაროების 75 მუშაკს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გეგმების შესრულებისა და მოსახლეობის მომსახურების საქმეში.

პრემიები მიეცათ ქ. თბილისის ლენინის, კალინინის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის, მახარაძის, ლენინგორის, ქარელის, ბორის, ახმეტის, ლენინგორის რაიონების, აგრეთვე ქალაქების სოხუმის, ბათუმის და ცხინვალის შემნახველ სალაროთა მუშაკებს.

დ. გორგიძე.

ნიადაგმცოდნეობის მუზეუმი

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შეიქმნა ნიადაგმცოდნეობის მუზეუმი.

მუზეუმის განყოფილებებში წარმოდგენილი მასალები ასახავენ ქანების გამოფიტვისა და ნიადაგწარმოქმნის პირველადს პროცესებს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ნიადაგების ვერტიკალურ ზონალობას, საქართველოს ნიადაგების ძირითად ტიპებს და სხვ.

მუზეუმში გამოფენილია ნიადაგმცოდნეობის გამორჩენილ მეცნიერთა პორტრეტები. ლანდშაფტური სურათები; ნიადაგის რუკები, დიაგრამები, ცხრილები, რომლებიც წარმოდგენას იძლევიან ნიადაგის თვისებებზე, მათ სასოფლო-სამეურნეო გამოყენებაზე და სხვ. აქვე ექსპონირებულია ცალკეული ზონების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გავრცელების რუკები.

ეს მუზეუმი ერთადერთია საქართველოში.

დოც. ი. ანჯაფარიძე.

სურათზე: მუზეუმის ერთ-ერთ განყოფილებაში დამთვალიერებლები ეცნობიან ექსპონატებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ტურნირის გმირები

გუშინ თბილისის კიროვის პარკის კალათბურთის სტადიონს ჩვეულებრივზე მეტი მაყურებელი ეწვია. ეს ინტერესი გამოწვეული იყო საერთაშორისო ტურნირის დასკვნითი შეხვედრებით, პირველ რიგში კი სსრ კავშირის „დინამოსა“ და ჩინეთის „ციან-ვეის“ გუნდების მატჩით.

მეტოქენი თავიანთი საბრძოლო შემადგენლობით თამაშობდნენ. დასაწყისში დინამოელთა რიგებში იყვნენ — მინაშვილი, კილაძე, ხაზარაძე, კრისევიჩი, კაზანჯიანი. მე-3 წუთისათვის წინ იყვნენ ჩინელები 10 : 4.

მწვრთნელმა ო. ქორქიამ ხაზარაძე ლეონავათი შეცვალა. ამ უკანასკნელმა ბრძოლაში გარკვეული სიახლე შეიტანა. მე-11 წუთისათვის უკვე წინ იყვნენ დინამოელები 19:18. მასპინძლებს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ და ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს 43:31.

მეორე ტაიმში ჩინელები მთელი დატვირთვით იბრძოდნენ აღედგინათ წონასწორობა, მაგრამ უშედეგოდ. დინამოელებმა არა მარტო შეინარჩუნეს ქულათა სხვაობა, არამედ ორჯერ მეტად გაზარდეს იგი, მსჯავს სასტვენის ხმამ გვამცნო „დინამოს“ კოლექტივის გამარჯვება ანგარიშით 93:66.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთი იყო: „გვარდია“ (პოლონეთი) — „რუდე გვეზდა“ (ჩეხოსლოვაკია) 78:41, „დოჟა“ (უნგრეთი) — „დინამო“ (ბერ) 57:53, „სპარტაკი“ (ბულგარეთი) — „დინამო“ (რუმინეთი) 65:57.

ამრიგად, თბილისის საერთაშორისო ტურნირის მატჩები კალათბურთში ამოიწურა. შჯობრები დაუმარცხებლად ჩაატარეს საბჭოთა კალათბურთელებმა (დინამოელები), რომლებმაც დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი და პრიზი. ჩინეთის გუნდმა „ციან-ვეიმ“ მეორე სპარზო ადგილი დაიკავა. მესამე იყო ბულგარეთის „სპარტაკი“.

გამარჯვებულებს საზეიმოდ გადასცეს პრიზები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო მფრინავის გმირობა

დონეცკი. (საკადესი). ბოლშე-ნოვოსელკოვოს რაიონის სოფელ პოდუბნოში საბჭოთა მეურნეობა „მეფოსტნის“ მამულში დაკრძალულია დიდი სამამულო ომის გმირი მფრინავის ვასილ ივანეს-ძე შაშკოს ნეშტი. ლეიტენანტ შაშკოს ბომბდამშენი უთანასწორო ბრძოლაში ჩამოაგდეს მტრის ავიაგამანადგურებლებმა 1942 წლის ზაფხულში ბრიანსკის ოლქში.

როგორ დაიღუპა ფფრინავი, ვინ არის იგი და რატომ დაკრძალეს მხოლოდ 20 წლის შემდეგ მშობლიურ სოფელში?

...ორი წლის წინათ ნაზეთმა „კრასნაია ზვეზდამ“ გამოაქვეყნა ყოფილი პარტიზანის კორესპონდენტი, რომელშიც ასახულია საბჭოთა ბომბდამშენის უთანასწორო ბრძოლა მტრის ავიაგამანადგურებლებთან ომის დღეებში. მაგრამ ვინ იყო გმირები, გაურკვეველი დარჩა. მალე ბრიანსკის ოლქის დუბროვსკის რაიონის მცხოვრები ამხ. სასკოვა მივიდა ადგილობრივი გაზეთის რედაქციაში და დასახელა ისინი: მსროლელი—რადისტი სერგი ექვთიმეს-ძე მარტინოვი და მფრინავი შაშკო. როგორც აღმოჩნდა, ეს ქალი დიდი ხანია უვლის შაშკოს საფლავს. მოგვიანებით მისი მოთხრობა შეიტანა მასწავლებელმა ამხ. კორეაჩევამ, რომელმაც მოძებნა მფრინავის ზოგიერთი საბუთი.

ამ ამბავმა აალელვა გვარდიის პოლკოვნიკი მიხეილ ანდრიას-ძე ჩუმაკოვი, რომელიც მაშინ სამხედრო კომისრად მუშაობდა ლიპეცკში. მან მოძებნა შაშკოს მშობლები, მისი თანამოსამსახურენი და მათი დახმარებით აღადგინა სახელოვანი პატრიოტის სახე, მისი უკანასკნელი ბრძოლის დაწვრილებითი ამბები.

ყოველივე ეს პოლკოვნიკმა ჩუმაკოვმა შაშკოს მშობლებს აცნობა. მისმა თანასოფლელებმა, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს გადაეტანათ გმირის ნეშტი მშობლიურ სოფელში, სადაც ახლა მისი დედ-მამა ცხოვრობს.

მფრინავ ვასილი ივანეს-ძე შაშკოს თანასოფლელებმა უკანასკნელი პატივი სცეს სახელოვან საბჭოთა პატრიოტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა